პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 296 (5397) | ოთხშაბათი, 28 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

პროფკავშირთა ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა („პრავდის“ მოწინავე)
ქირურგთა საკავშირო XXIV ყრილობის მისალმება ამხანაგ სტალინს (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ ორენბურგის ქალაქ ჩკალოვად და ორენბურგის ოლქის ჩკალოვის ოლქად გადარქმევის შესახებ (1-ლი გვ.)
ქირურგთა საკავშირო ყრილობაზე (1-ლი გვ.)
ჯანსახკომმა უნდა გარდაქმნას მუშაობა (მე-2 გვ.)
პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე (მე-3 გვ.)
შიო მღვიმელი (მე-3 გვ.).

უცხოეთში:
საფრანგეთ - იტალიის ურთიერთობა (მე-4 გვ.)
იაპონიის მთავრობის დეკლარაცია (მე-4 გვ.)
საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე (მე-4 გვ.)
სიანის ამბების წლისთავი ჩინეთში (მე-2 გვ.)

პროფკავშირთა ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა

პარტიის XVII ყრილობამ პროფესიულ კავშირებს დააკისრა უაღრესად მნიშვნელოვანი საკონტროლო ფუნქციები, რომლებსაც იმ დრომდე მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები ასრულებდნენ. ყრილობის გადაწყვეტილებანი მასობრივი კონტროლის ორგანიზაციის შესახებ უაღრესად სერიოზული ორგანიზაციული ღონისძიებები იყო, რომლებიც მაშინ პარტიამ მიიღო **შესრულების შემოწმების გასაძლიერებლად.** პარტიამ მოითხოვა გადასვლა ეპიზოდური ინსპექციიდან სისტემატურ კონტროლზე, შესრულების ყოველდღიურ შემოწმებაზე.

მიიღეს რა ყველა უფლებანი მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირეული ორგანოებისა საწარმოებში და საკონტროლო ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, პროფკავშირებმა შეიძინეს მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის სერიოზული საშუალებანი. პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების მასობრივი შემოწმების ორგანიზაცია, დირექტივებისა, რომლებიც მიმართულია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ, სახელმწიფოს მართვაში პროფკავშირების მონაწილეობის ერთერთი ფორმაა.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დახურული სისტემის არსებობის დროს პროფკავშირული ორგანიზაციები მეტად თუ ნაკლებად წარმატებით ეწეოდნენ საკონტროლო მუშაობას სადუქნო კომისიების, დამთვალიერებელი ბრიგადების და სხვ. საშუალებით. დახურული განმანაწილებლების ლიკვიდაციის შემდეგ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა თავისი საკონტროლო ფუნქციები რატომღაც ამოწურულად ჩასთვალეს. მაღაზიები, სასადილოები, ფარდულები მომსახურებას უწევენ ათეულ მილიონობით მუშებსა და მოსამსახურეებს; მაღაზიების, სასადილოების მუშაობაზე ქმედი კონტროლის ორგანიზაციისაგან თვითჩამოშორება ნიშნავდა თავის არიდებას ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად ბრძოლისათვის.

პარტია და მთავრობა მუდამ ზრუნავენ საქონელბრუნვის გაფართოებისათვის, კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის. კვების მრეწველობა, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობა, სარეწაო კოოპერაცია წლითიწლობით ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას. ამასწინათ „პრავდაში“ მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ რსფსრ კვების მრეწველობამ წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს ყველგან მოვაგვაროთ შეუფერხებელი ვაჭრობა პროდუქტებით და მკვეთრად გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი კვების ხარისხი, მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციები ამ შესაძლებლობებს ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ. ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და დივერსანტები ანგრევდნენ ვაჭრობას, ხურავდნენ სასადილოებს, აქეზებდნენ მტაცებლობას, ხრწნიდნენ სავაჭრო კადრებს, მაგრამ დღემდე ამ დარგში მავნებლობის შედეგები ჯერ კიდევ საგრძნობლად ლიკვიდირებული არ არის. სასადილოები, რომლებიც მავნებლებმა დახურეს მთელ რიგ ადგილებში, მათ შორის მოსკოვსა და ლენინგრადშიც, დღემდე კიდევ არ არის სრულად აღდგენილი.

საბჭოთა ვაჭრობის პატიოსან მოსამსახურეთა მასას მიეტმასნენ მავნებლები, თაღლითები, სპეკულანტები, რომლებიც მყიდველს ჰქურდავენ, გაფლანგვებსა და მტაცებლობას ავრცელებენ. განა შეუძლიათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს გულგრილად უცქირონ ისეთ ფაქტებს, როდესაც, მაგალითად, მოსკოვის ბასეინში, მაღაროელთა დაბა ბოლოხოვოში რამდენიმე დღის განმავლობაში არ ვაჭრობენ შაქრით, რომელიც საწყობებში საკმაო რაოდენობითაა? ან როდესაც სარატოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის სასადილოში ჭიქები არ ჰყოფნით ჩაის მისატანად? განა შეუძლიათ პროფკავშირებს გულგრილად უცქირონ ამ მოვლენას? განა მათ არ მიანდო პარტიამ კონტროლი ვაჭრობაზე?

საზოგადოებრივი კონტროლი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მუშები და მოსამსახურეები, ყოველდღიური მეთვალყურეობა მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობაზე — ეს მათი მუშაობის გაუმჯობესების საშუალებაა. შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ საზოგადოებრივი კონტროლის ძალას. საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა ლენინგრადის ოლქის იჟორის ქარხანაში, შეამოწმეს რა ათეულობით მაღაზიები, ბუფეტები, სასადილოები, მიაღწიეს სასადილოების გაფართოებას, ვაჭრობის მოწესრიგებას, იმათ დასჯას, ვინც მყიდველებს წონასა და ზომაში ატყუებდა. მოსკოვის ქარხანა „კრასნი ბოგატირის“ მასობრივი კონტროლის ბრიგადამ გამოააშკარავა თაღლითები, რომლებიც მოქმედებდნენ საპროდუქტო ფარდულში, სადაც წონაში ატყუებდნენ მყიდველებს. საზოგადოებრივი კონტროლიორები მაკეევკის კარლ მარქსის სახელობის ქარხნის სასადილოში ამოწმებენ პროდუქტების გაანგარიშებას, სადილების კალკულაციას, ხორცისა და ბოსტნეულის შენახვის ხარისხს. კონტროლიორებმა გამოამჟღავნეს ნაკლოვანებანი სასადილოში და მიაღწიეს მათს აღმოფხვრას. პოდოლსკის მექანიკურ ქარხანაში სასადილოს ცუდი სახელი ჰქონდა, იქ უგემურ საჭმელებს იძლეოდნენ, სასადილოს გამგე ლოთობდა, სასადილოს მუშაკებში შრომის დისციპლინა ძალიან დაბალ დონეზე იყო. საკმარისი იყო პროფკავშირულ ორგანიზაციას სერიოზულად მოეკიდნა ხელი სასადილოსათვის, და ის ისეთი გახდა, რომ მას ვეღარ იცნობ, კვების ხარისხი გაუმჯობესდა.

სამწუხაროდ, მასობრივი კონტროლის ორგანიზაციის დადებითი ფაქტები ჯერ კიდევ მცირეა. ჯერ კიდევ ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია გაურბის საკონტროლო მუშაობას. აქა-იქ ფორმალურად გამოჰყოფენ ხოლმე საკონტროლო ბრიგადებს, მაგრამ კონტროლიორებს ინსტრუქტაჟს არ უწევენ, კონტროლიორების მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებებს არ სპობენ. ბევრ ადგილას რატომღაც სთვლიან, რომ მაღაზიების მუშაობაზე საზოგადოებრივ კონტროლს მხოლოდ სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის წევრები უნდა ეწეოდნენ. ეს არასწორი, შემცდარი წარმოდგენაა. სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირებმა უეჭველად უნდა გააქტივონ თავისი მუშაობა, ვინაიდან ისინი უფრო, ვიდრე სხვა ვინმე, იცნობენ და ხედავენ ვაჭრობის პლუსებსა და მინუსებს. მაგრამ მასობრივი კონტროლი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაზე ყველა პროფესიული კავშირის საქმეა.

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბებით სწარმოებს საბინაო მშენებლობა. პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს. ასიგნებულია უდიდესი სახსრები მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად. მარტო მიმდინარე წელს საქალაქო საბინაო მშენებლობისათვის ასიგნებულია 3,6 მილიარდი მანეთი. პროფესიული კავშირების პირდაპირი მოვალეობაა მიაღწიონ იმას, რომ ეს სახსრები გამოყენებულ იქნას პირდაპირი დანიშნულებისამებრ, რომ საბინაო მშენებლობის გეგმები ვადაზე და ვადამდე სრულდებოდეს. მაგრამ პროფესიული ორგანიზაციების უმრავლესობა განზე უდგას საბინაო მშენებლობას. ავიღოთ, მაგალითისათვის, ბამბეულის მრეწველობის პროფმუშაკები. ისინი მზად არიან ყოველი საბაბის გამო და უსაბაბოდაც უჩიოდნენ საცხოვრებელი ბინების ნაკლებობას. მაგრამ პროფესიული კავშირის თვალის წინ ჩაიშალა ივანოვოს ოლქის ფეიქართათვის ათეული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ნუთუ არ ესმით პროფკავშირებს, რომ მთელი მათი ლაპარაკი მუშათა და მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ფუჭ ლაყბობად იქცევა, თუ ისინი არ ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ მშენებლებმა თავის დროზე ააშენონ ახალი საცხოვრებელი ბინები?

ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის“ საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა დაგვანახვეს, რას ნიშნავს ქმედი კონტროლი მშენებლობაზე. მესამე წელია სწარმოებდა ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სახლის მშენებლობა. სახელმწიფო იძლეოდა სახსრებს, მაგრამ ამ სახსრებს სისტემატურად არ იყენებდნენ. საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა — ოსტატმა სემიონოვმა, მემანქანე ნიკოლაევმა, ბრიგადირმა სოლოვიოვმა, ხარატმა დუნეცმა, ბრიგადირმა ბულიჩევმა ამა წლის გაზაფხულიდან ყოველდღიური კონტროლი დააწესეს მშენებლობაზე. მათ გამოააშკარავეს სამშენებლო კონტორის უფროსი—თვალისამხვევი, მიაღწიეს მშენებლობაზე მუშების რაოდენობის გადიდებას, მუშაობის ზუსტი გრაფიკის დაწესებას და ყოველდღიურად ადევნებდნენ თვალს მის შესრულებას. სახლის მშენებლობა მკვეთრად დაჩქარდა და უკვე დამთავრებას უახლოვდება.

ხოლო ადევნებენ თუ არა პროფმუშაკები თვალყურს იმას, ვინ ცხოვრობს უკვე აშენებულ საცხოვრებელ სახლებში? საქარხნო სახლებში, როგორც ამას იუწყებიან მუშები და მოსამსახურეები „პრავდისათვის“ გამოგზავნილ თავის კორესპონდენციებში, ცოტა ბინები კი არ უჭირავთ ქარხნიდან დათხოვნილ გამცდენებს, წარმოების დეზორგანიზატორებს, ფრენიებს. ხოლო იმავე საწარმოებში ზოგჯერ სტახანოველებს, პატიოსან, კეთილსინდისიერ მუშებს საცხოვრებელი ბინა უჭირთ.

მაღაზიები, სასადილოები, სამკერვალო და სარემონტო სახელოსნოები, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, საერთო საცხოვრებლები, საბავშვო ბაღები და ბაგები—ყველგან საჭიროა პროფესიული კავშირის თვალი. მასობრივ კონტროლში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმა დაგვეხმარება იმაში, რომ აღმოვფხვრათ ბიუროკრატული დამახინჯებანი აპარატის მუშაობაში, გავაუმჯობესოთ მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობები, როგორც ამას მოითხოვს ბოლშევიკური პარტია.

„პრავდის“ მოწინავე, 27/XII.

ქირურგთა საკავშირო XXIV ყრილობის მისალმება ამხანაგ სტალინისადმი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო და მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საბჭოთა ქირურგების ათიათასიანი არმიის სახელით მგზნებარე, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს, სოციალიზმის გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორს, მოწინავე მეცნიერების კორიფეის, საბჭოთა ექიმების საუკეთესო მეგობარს.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, სტალინური ხუთწლედების ბრწყინვალე გამარჯვებათა შედეგად საბჭოთა კავშირის ხალხებმა შექმნეს ბედნიერი, საამური და თავისუფალი ცხოვრება.

საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც ადამიანი წარმოადგენს ყველაზე უფრო ძვირფას კაპიტალს, შექმნილია ხალხის ჯანმრთელობის დაცვის მწყობრი სახელმწიფო სისტემა, რომლის მსგავსი არ არის და არც შეიძლება იყოს მსოფლიოს არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. დიადი სტალინური კონსტიტუციის ოქროს ფურცლებზე აღბეჭდილია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მიერ მოპოვებული უფლებანი — დასვენების უფლება, ავადმყოფობისა და სიბერის დროს სახელმწიფო უზრუნველყოფის უფლება, დედისა და ბავშვის ინტერესების სახელმწიფოებრივი დაცვის უფლება.

საბჭოთა ექიმებს პარტიამ და მთავრობამ მიანდეს საპატიო ამოცანა — განახორციელონ ყოველდღიური სტალინური მზრუნველობა მშრომელთა ჯანმრთელობაზე, საბჭოთა ძლიერი ხალხის ჯანმრთელობაზე. საბჭოთა ქირურგიას, ისევე როგორც მთელს საბჭოთა მედიცინას, მიეცა ყველა შესაძლებლობა თავისი სწრაფი და წარმატებითი განვითარებისათვის. უკვე ახლა მთელ რიგ დარგებში საბჭოთა ქირურგიამ გაუსწრო კაპიტალისტური ქვეყნების ქირურგიას.

ქირურგთა საკავშირო XXIV ყრილობა იქნება საბჭოთა ქირურგიული მეცნიერების მიღწევათა ბრწყინვალე დემონსტრაცია. ჩვენი ყრილობა განიხილავს ქირურგიული მეცნიერებისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში. ჩვენ მუდამ გვახსოვს, ამხანაგო სტალინ, თქვენი მითითება იმ აუცილებლობის შესახებ, რომ „მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს...“

საბჭოთა ქირურგი, როგორც მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე სამედიცინო მეცნიერების საუკეთესო იდეების მატარებელი, გამთბარია, აღფრთოვანებულია სტალინური მზრუნველობით, მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულით. საბჭოთა ქირურგების არმია უსაზღვროდ ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა, კომუნიზმის საქმისა.

საბჭოთა ქირურგები სიტყვას გაძლევენ თქვენ, ამხანაგო სტალინ, მთელი თავისი ძალღონე და მთელი თავისი ცოდნა მოახმარონ საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის ბრძოლას, ბრძოლას თქვენი იმ მითითების შესრულებისათვის, რომ გამოვზარდოთ საბჭოთა ადამიანების თაობა, „ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე, რომელიც შესძლებს აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება სათანადო სიმაღლეზე და საკუთარი მკერდით დაიცვას იგი მტრის ხელყოფისაგან“.

ჩვენ სიტყვას გაძლევთ ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საბჭოთა ქირურგია მსოფლიოში საუკეთესო ქირურგია იყოს, რომ იგი გადავაქციოთ მოწინავე მეცნიერებად, რომელიც „ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი...“ (სტალინი).

ბოლშევიზმის მხოლოდ შეუპოვარი დაუფლებით, ჩვენი მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობის ყოვლისშძლე მარქსისტულ-ლენინური თეორიის სალკლდოვან საფუძველზე აშენებით, ჩვენ გავამართლებთ იმ უდიდეს ნდობას, ყურადღებასა და მზრუნველობას, რომლებსაც დაუღალავად იჩენენ პარტია და მთავრობა საბჭოთა სახალხო ინტელიგენციისადმი, რომლის ერთერთ რაზმს საბჭოთა ქირურგები წარმოადგენენ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას!

გაუმარჯოს ჩვენი დროის მეცნიერთა შორის უგენიალურეს მეცნიერს — ამხანაგ სტალინს!

ქირურგთა საკავშირო ყრილობაზე

ქირურგთა საკავშირო XXIV ყრილობის საქმიანი მუშაობა დაიწყო დღეს დილით მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ სპასოკუკოცკის თავმჯდომარეობით. ყრილობის ყურადღების ცენტრში იყო საკითხი ჭრილობათა მკურნალობის შესახებ. დღის სხდომაზე ამ საკითხის გამო მოსმენილ იქნა ათი სამეცნიერო მოხსენება.

მოსკოველმა პროფესორმა რუფანოვმა თავის მოხსენებაში გააშუქა თანამედროვე მეცნიერების მდგომარეობა ჭრილობათა მორჩენის პროცესის შესახებ და დაახასიათა ორგანიზმის საერთო მდგომარეობის მნიშვნელობა და ინფექციის ხასიათი მორჩენის პროცესში. მან აღნიშნა სხვადასხვა სტადიები ამ პროცესის მსვლელობაში და ყრილობას აცნობა, თუ როგორ უნდა ნაირდებოდეს ჭრილობის მკურნალობა სტადიების მიხედვით.

პროფესორ მელნიკოვის მოხსენება (ხარკოვი) შეიცავდა მეტად ძვირფას მეცნიერულ-კვლევითს მასალას. პროფესორი მელნიკოვი შეჩერდა ეგრეთწოდებული ანაერობული ინფექციის მნიშვნელობაზე, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ომიანობის პირობებში. ამ ინფექციის მატარებელი ბაქტერიები მეტად სწრაფად ვითარდებიან და იწვევენ სწრაფ და მძიმე დაავადებას: აიროვან სიმსივნეს და აიროვან განგრენას. დაჰყორა ინფექციის პროცესის მსვლელობა ოთხ სტადიად, პროფესორმა მელნიკოვმა მეტად დამაჯერებლად და ხაზგასმით აღნიშნა ინფექციის ადრე გამოცნობის მნიშვნელობა, როცა ჯერ კიდევ შეიძლება საკმაოდ ეფექტიან ღონისძიებათა მიღება მასთან საბრძოლველად. ლიტერატურის ღრმად შესწავლის, კლინიკური მასალისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე პროფესორმა მელნიკოვმა ყრილობის მონაწილეთ მისცა მეტად ძვირფასი მითითებანი ანაერობული ინფექციის მკურნალობის შესახებ. კერძოდ, მან წამოაყენა საკითხი იმ შრატის მოქმედების გაძლიერების აუცილებლობის შესახებ, რომელსაც ინფექციის მკურნალობისათვის ხმარობენ, და განსაკუთრებით მშრალი შრატის გაძლიერების შესახებ.

პირველი ჯგუფის მოხსენებათა თითქოს გაგრძელება იყო პროფესორ რახმანოვის მოხსენება ჭრილობათა ფიზიო-თერაპევტული მკურნალობის მეთოდების შესახებ. ამ მეთოდის გამოყენება განსაკუთრებულად ყურადსაღებია ნაადრევ სტადიებში ჭრილობის მიღების შემდეგ. საკითხი ფიზიო-თერაპიის გამოყენების შესახებ ჭრილობათა მკურნალობის დროს ყურადღების ღირსია, რადგან ცნობილია, რომ მკურნალობის ფიზიო-თერაპევტული საშუალებანი ხშირად იცავენ ორგანიზმს ანთებითი პროცესების განვითარებისაგან ჭრილობის დროს.

ყრილობა უდიდესი ყურადღებით შეხვდა აგრეთვე ლაბორატორული და ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგებს, რომლებიც წარედგინა მას და რომლებიც ეხებიან აიროვანი განგრენის გამომწვევებს და განგრენის საწინააღმდეგო შრატის მოქმედებას. მოხსენებანი ამ თემაზე წაიკითხეს მოსკოველმა ქირურგებმა ამხ. ჩორნაიამ და როგოვერმა. ამხ. როგოვერმა თავისი ექსპერიმენტებით უარჰყო აქამდე გავრცელებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ჭრილობისაგან მიღებულ ინფექციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი და არ გავრცელდეს ექვსი საათის განმავლობაში. ეს ვადა, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მკვეთრად უნდა შემოკლდეს. ინფექციის გაჩენიდან სამი, ორი და ერთი საათის შემდეგაც კი მისი გამომწვევი შეიძლება ვიპოვნოთ ხშირად მეტად შორს ჭრილობის ფარგლებს გარეთ.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ს. ვეისბროდი.

ხარკოვი, 26 დეკემბერი.

შრომის წიგნაკების დაგზავნის წესის შესახებ

1938 წლის 25 დეკემბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობა შეუდგა შრომის წიგნაკების მიცემას სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულებებისათვის. მთელი რიგი სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი უკვე შეუდგნენ შრომის წიგნაკების დაგზავნას საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის. შრომის წიგნაკები, უწინარეს ყოვლისა, იგზავნება ცალკეულ რაიონებში.

შრომის წიგნაკების დაგზავნა შემდეგი წესით ხდება:

საერთო-საკავშირო და მოკავშირე-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი შრომის წიგნაკებს საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებსა და დაწესებულებებს უშუალოდ სახალხო კომისარიატიდან (ცენტრალური დაწესებულებიდან) ან სათანადო მთავარი სამმართველოების საშუალებით უგზავნიან, ხოლო რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოებსა და დაწესებულებებს — სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების საშუალებით.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები შრომის წიგნაკებს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებსა და დაწესებულებებს უგზავნიან რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების (ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, განათლების სახალხო კომისარიატი, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი) და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების საშუალებით.

საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის შრომის წიგნაკების დაგზავნა უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 1939 წლის 5 იანვრისა.

შრომის წიგნაკების მეტი ნაწილი იბეჭდება მოსკოვისა და ლენინგრადის სტამბებში. შრომის წიგნაკები იბეჭდება აგრეთვე უკრაინის სს რესპუბლიკისათვის — კიევსა და ხარკოვში, ბელორუსიის სს რესპუბლიკისათვის — მინსკსა და გომელში, საქართველოს სს რესპუბლიკისათვის — თბილისში, ყაზახეთის სს რესპუბლიკისათვის — ალმა-ატაში და უზბეკეთის სს რესპუბლიკისათვის — ტაშკენტში.

მოსკოვიდან შრომის წიგნაკების გაგზავნა ცენტრალური საგაზეთო-საჟურნალო ფოსტამტის მიერ ხდება. ადგილებზე შრომის წიგნაკების თავის დროზე მისატანად გამოყენებულია ყოველგვარი სახის ტრანსპორტი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ეკონომსაბჭომ დაავალა სახალხო კომისრებს, ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს თვალყური ადევნონ შრომის წიგნაკების დაგზავნის მიმდინარეობას და მიიღონ ზომები საწარმოებსა და დაწესებულებებში მათი დაცვა-შენახვისა და სათანადო აღრიცხვის უზრუნველსაყოფად.

(საქდესი).

სტალინის სახელობის შახტმა შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა

ტყიბული, 27 დეკემბერი (საქდესი). ტყიბულის მაღაროელებმა, რომლებმაც 19 დეკემბერს ვადამდე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა, ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე მისცენ ჩვენს ქვეყანას 12 ათასი ტონა ქვანახშირი. თავის ვალდებულებას ისინი ასრულებენ. უკვე ამოღებულია 6.420 ტონა ქვანახშირი.

დღეს მაღაროელები ახალ გამარჯვებას აღნიშნავენ. სტალინის სახელობის შახტმა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამორჩენილი იყო, ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა უკვე შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 100 ათასი ტონის ნაცვლად, ჩვენს ქვეყანას მისცა 100.504 ტონა ქვანახშირი.

სტალინის სახელობის შახტში გამართულ მიტინგზე სტახანოველებმა — ამხ. ბეშკენაძემ, კახიძემ, ხაინდრავამ, ტრუფანოვმა ფურცხვანიძემ და სხვებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს.

საბჭოთა კავშირის გმირი ვ. პ. ჩკალოვი

ორენბურგიდან 22. XII. 38 წ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო— ამხანაგ მოლოტოვს

საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტი— ამხანაგ სტალინს

ორენბურგის ამხანაგ ვოროშილოვის სახელობის საავიაციო სასწავლებლის ერთეულთა საერთო კრება სთხოვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენი დროის დიდი მფრინავის, ჩვენი სასწავლებლის ყოფილი მოსწავლის ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის ხსოვნის უკვდავყოფის ნიშნად, ქალაქ ორენბურგს ეწოდოს ქალაქი ჩკალოვი.

კრების დავალებით —

სასწავლებლის სამხედრო კომისარი სუხანოვსკი

ორენბურგის საოლქო აღმასკომისა და პარტიის საოლქო კომიტეტის 1938 წლის 25 დეკემბრის დადგენილება

მხარი დაეჭიროს მშრომელთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, საკოლმეურნეო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, და ჯარის ერთეულთა კრებების მრავალრიცხოვან თხოვნას იმის შესახებ, რომ, ჩვენი დროის დიდი მფრინავის ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის ხსოვნის უკვდავყოფის ნიშნად, ქალაქ ორენბურგსა და ორენბურგის ოლქს ეწოდოს ქალაქი ჩკალოვი და ჩკალოვის ოლქი.

საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე კ. მილოვანოვი
საკ. კ. პ. (ბ) ოლქკომის მდივანი ა. დუბროვსკი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქალაქ ორენბურგის ქალაქ ჩკალოვად და ორენბურგის ოლქის ჩკალოვის ოლქად გადარქმევის შესახებ

დაკმაყოფილებულ იქნას ორენბურგის ოლქის მშრომელების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საკოლმეურნეო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საავიაციო და სხვა სამხედრო ერთეულების თხოვნა იმის შესახებ, რომ ქალაქ ორენბურგს ეწოდოს ქალაქი ჩკალოვი და ორენბურგის ოლქს—ჩკალოვის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1938 წლის 26 დეკემბერი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

ვ. პ. ჩკალოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

ჩვენი დროის დიდი მფრინავის— საბჭოთა კავშირის გმირის ვალერი პავლეს-ძე **ჩკალოვის** ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს ვ. პ. ჩკალოვის სახელობის სამი ყოველწლიური საავიაციო პრემია, რაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ყოველწლიურად 15 დეკემბერს მიესჯება:

1-ლი პრემია — 50 ათასი მანეთი საავიაციო კონსტრუქტორს, რომელიც განვლილ წელს თვითმფრინავის საუკეთესო კონსტრუქციას დაამზადებს;

მე-2 პრემია — 50 ათასი მანეთი კონსტრუქტორს, რომელიც განვლილ წელს საუკეთესო მოტორს დაამზადებს ან სერიოზულად გააუმჯობესებს მოტორს;

მე-3 პრემია — 50 ათასი მანეთი სამხედრო - საჰაერო ფლოტის ესკადრილიას, რომელსაც საფრენოსნო მუშაობაში საუკეთესო მიღწევები ექნება.

2. წინადადება მიეცეს გორკის საოლქო აღმასკომს — ააგოს და 1939 წლის 15 დეკემბრისათვის გახსნას კულტურის სახლი ქ. ჩკალოვსკში და მიაკუთვნოს მას ვ. პ. ჩკალოვის სახელი.

3. დაევალოს გორკის საოლქო აღმასკომს — უშუალო მზრუნველობა გაუწიოს იმ სახლს ქ. ჩკალოვსკში, სადაც ვ. პ. ჩკალოვი ცხოვრობდა, და გამოაკრას მასზე მემორიალური დაფა.

4. ეწოდოს ვ. პ. ჩკალოვის სახელი ქ. გორკის პიონერთა სასახლეს და საამშენებლო ინსტიტუტს.

5. ეწოდოს ვ. პ. ჩკალოვის სახელი თავდაცვა-ავიაქიმის მოსკოვის ცენტრალურ აეროკლუბს.

6. დაევალოს თავდაცვის სახალხო კომისარიატს—უწოდოს ვ. პ. ჩკალოვის სახელი მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ერთერთ დიდ სკოლას.

7. წინადადება მიეცეს მოსკოვის საბჭოს—სადოვო-ზემლიანოი ვალის ქუჩას უწოდოს ჩკალოვის ქუჩა.

8. დაიდგას ვ. პ. ჩკალოვის ძეგლი ქ. მოსკოვში.

ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე

26 დეკემბერს ამხ. კამერონის მოხსენების გარშემო გამართული კამათის დამთავრების შემდეგ, პლენუმმა აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა შეიმუშაოს პროექტი დადგენილებისა სპეკულაციის საქმეთა გამო სასამართლო პრაქტიკის საკითხის შესახებ.

შემდეგ პლენუმი შეუდგა საკითხის განხილვას სამოქალაქო შრომითი საქმეთა დარგში სასამართლო პრაქტიკის შესახებ. ამ საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. პ. სოლოდილოვმა.

თავის დროზე უმაღლესმა სასამართლომ დააწესა, რომ იმ სარჩელის გამო, რომელიც შეეხება უმართებულო დათხოვნით გამოწვეული იძულებითი განაცდენის ანაზღაურებას, სასამართლოებმა მხოლოდ ერთი თვის ხელფასის ანაზღაურება უნდა მიუსაჯონ.

მომხსენებელმა და ბევრმა კამათში გამოსულთაგანმა მრავალი მაგალითი მოიყვანეს, როდესაც დათხოვნილები სარჩელს აყენებდნენ ათიათას მანეთობით, მრავალთვეობით აცდენდნენ სამუშაოს და უარს ამბობდნენ წასულიყვნენ სხვა სამუშაოზე, თუმცა ეს მათ არავითარ შემთხვევაში არ უშლიდა ხელს სასამართლოს წესით მოეთხოვათ ხელფასის ანაზღაურება უმართებულოდ დათხოვნისათვის. სასამართლოები ხშირად სრულად აკმაყოფილებენ ასეთ დაუსაბუთებელ სარჩელს.

მომხსენებელმა წინადადება შეიტანა მიეცეს სასამართლოებს დამატებითი მითითებანი ასეთ საქმეთა განხილვის წესის შესახებ. (საკდესი).

○

26 დეკემბერს საღამოს სხდომაზე პლენუმი შეუდგა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა გადაწყვეტილებებზე შემოტანილი პროტესტების განხილვას. განხილულ იქნა მთელი რიგი პროტესტები, რომლებიც შეტანილი იყო უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ რკინიგზის კოლეგიის გადაწყვეტილებებზე. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მილანში საბჭოთა საკონსულოს დახურვის შესახებ გუშინ გამოქვეყნებულ ცნობასთან დაკავშირებით, საკდესმა ავტორიტეტული წყაროებიდან გაიგო, რომ ამის საბაბი გახდა ხულიგნური დებოში, რომელიც იტალიის ფაშისტებმა მოაწყეს საბჭოთა საკონსულოს სადგომის პირდაპირ ანტიფრანგული დემონსტრაციის დროს. როგორც თავის დროზე იუწყებოდნენ, ხულიგნებმა ჩალეწეს საკონსულოს მინები და დააზიანეს კარები. თუმცა მილანის პრეფექტმა საბჭოთა კონსულს სინანული გამოუცხადა, მაგრამ იტალიის მთავრობამ არ მისცა დამაკმაყოფილებელი პასუხი საბჭოთა ელჩის მის მოთხოვნაზე მომხდარი ამბის გამოკვლევისა და დამნაშავეთა ღირსეულად დასჯის შესახებ. ამის გამო საბჭოთა მთავრობამ აცნობა იტალიის მთავრობას, რომ, რადგან არ არსებობს გარანტია მილანში საკონსულოს ნორმალური მუშაობისათვის, მან გადასწყვიტა დახუროს ეს საკონსულო და წინადადებას იძლევა ლიკვიდირებულ იქნას სამაგიეროდ იტალიის საკონსულო ოდესაში.

ქვანახშირის დატვირთვის მექანიზირება ამხ. ბლიდმანის მეთოდით

სტალინო, 26 დეკემბერი (საკდესი). „ბუდიონოვუგოლის" ტრესტის „ჩურკოვკას" № 8 და „ნაკლონაიას" № 9 შახტებში შემოღებულია რკინიგზის ვაგონებში ქვანახშირის დატვირთვის კომპლექსური მექანიზაცია ამხ. ბლიდმანის მეთოდით.

ამ შახტების ესტაკადების ზედაპირზე მოწყობილია მადნის ქანების გადამრჩევი ლენტური ტრანსპორტერები. ესტაკადების ქვეშ დადგმულია დახრილი ნახევარბუნკერები, დამტვირთავი ლენტური ტრანსპორტერები, რომლებიც მოძრაობენ რელსიან ბაქანზე ნახშირის საწყობის გასწვრივ. ქვანახშირი, რომელიც მაღაროებიდან ვაგონეტებით მოდის, გაიცლება ესტაკადაზე და ჩაიყრება ბუნკერებში. ბუნკერში არსებული ნაპრალით ქვანახშირი იყრება მადნის ქანების გადამრჩევ რეზინის ტრანსპორტერზე. გაუხვებული ქვანახშირი შუალედი ბუნკერების მეშვეობით მიდის დამტვირთავი ტრანსპორტერის ლენტზე და იყრება რკინიგზის ვაგონებში.

წინათ დამტვირთავ სამუშაოზე სამი ცვლის განმავლობაში მუშაობდა 73 კაცი, ამჟამად — 12 კაცი. მადნის ქანების გადამრჩევი ტრანსპორტერის მომსახურებასა და მადნის გაგორებაზე 50 მუშის მაგიერ თვითეულ ცვლაში მუშაობს 10 კაცი. ერთი ვაგონის დატვირთვის დრო 6-7 საათიდან 15-20 წუთამდე შემცირდა.

ყინულმჭრელ „სედოვის" დრეიფი

ყინულმჭრელ „სედოვის" გემბანი, 26 დეკემბერი (საკდესის სპეცკორის რადიო). გუშინ ყინულმჭრელ „სედოვის" დრეიფის რაიონში ცვალებადი ღრუბლიანობა იყო. უბერავდა სუსტი აღმოსავლეთის ქარი 3 ბალის სიძლიერით. ტემპერატურა — მინუს 13,5 გრადუსი. გუშინ დავიწყეთ მეორე სადღეღამისო მაგნეტური სადგურის გაყვანა. განუწყვეტლივ სწარმოებს მეცნიერული დაკვირვება. ყინულის მოძრაობა შემჩნეული არ ყოფილა.

ბეკასოვი

ფილმი მაღალმთიანი გადასვლის შესახებ

დონის-როსტოვი, 26 დეკემბერი (საკდესი). როსტოველმა კინოოპერატორებმა ლ. გოლოდმა და ვ. შჩუპლიაკმა დაამთავრეს დოკუმენტალური ფილმის გადაღება და მონტაჟი ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის № ერთეულის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ერთი ჯგუფის გადასვლის შესახებ იმ საბრძოლო გზით, რომელიც სამოქალაქო ომის დროს განვლეს სერგო ორჯონიკიძის რაზმებმა.

ფილმი გვაჩვენებს, თუ როგორ გადადიან კავკასიონის ქედზე სრული სამარი საჭურველით მებრძოლები და მეთაურები თოვლში და ყინულზე უგზოობის პირობებში. მათ გადალახეს ორი გადასავალი, რომელთა სიმაღლე თითქმის 3 ათას მეტრს აღწევს ზღვის დონიდან.

მუსიკა ფილმისთვის დაწერილია დირიჟორების საკავშირო კონკურსის ლაურეატის მ. პავერმანის მიერ.

ხასანის ბრძოლების მონაწილე მფრინავი სერაფიმ კოჩიევი სტალინირში

(სტალინირი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შორეულ აღმოსავლეთიდან ქალაქ სტალინირში ჩამოვიდა ხასანის ბრძოლების მონაწილე, სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა სახელოვანი შვილი, კაპიტანი, სამხედრო პილოტი, ორდენოსანი სერაფიმ კოჩიევი.

ამხ. კოჩიევის ჩამოსვლასთან დაკავშირებით შესდგა ქალაქ სტალინირის მშრომელთა საზეიმო შეხვედრა. საზეიმო სხდომის პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ვლადიმერ ცხოვრებაშვილი, ვლადიმერ ხუბაევი, ასია ქოქოევა, ხასანის ბრძოლების მონაწილე ორდენოსანი მფრინავი სერაფიმ კოჩიევი, ვასო სანაკოევი, არსენ კასაბიევი, ვასო ხეთაგუროვი და სხვ.

ხასანის ბრძოლების შესახებ მეტად საინტერესო მოგონებით გამოვიდა ორდენოსანი კაპიტანი მფრინავი ამხ. სერაფიმ კოჩიევი. დამსწრენი მხურვალე ტაშით აჯილდოვებდნენ მას, როდესაც ის უამბობდა აუდიტორიას ხასანის ბრძოლების მეტად საინტერესო ეპიზოდებს. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა მოგონებამ საბჭოთა ყუმბარმზიდებით იაპონელი სამურაების განადგურებაზე.

ხასანის მებრძოლს მიესალმა ამხ. გრ. კაბულოვი, ოლქკომისა და ცაკის სახელით—ამხ. ი. გოგიჩოვი, კომკავშირის სახელით—ამხ. გ. ძუკაევი.

საზეიმო სხდომამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ **სტალინს, ვოროშილოვს და ბერიას.**

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ქ. ტრაპაიძე

ქრონიკა

ა.-წ. 23 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ვ. პ. პოტიომკინსა და ფინეთის სრულუფლებიანი მინისტრის, მოსკოველ საგანგებო ელჩის ბარონ ა. ს. ირიე-კოსკინენს შორის მოხდა ნოტების გაცვლა-გამოცვლა სსრ კავშირის მთავრობისა და ფინეთის მთავრობის მიერ იმ დოკუმენტებისა და რუკების დამტკიცების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო საზღვრის ხაზს სსრ კავშირსა და ფინეთს შორის და რომლებიც შედგენილია საზღვრების სადემარკაციო საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კომისიის მიერ (საკდესი).

სიანის ამბების წლისთავი ჩინეთში

ჩუნცინი, 26 დეკემბერი (საკდესი). 25 დეკემბერს ჩუნცინმა იდღესასწაულა სიანის კონფლიქტის კეთილად, მშვიდობიანად მოგვარებისა და პატიმრობიდან ჩან კაი-შის განთავისუფლების წლისთავი (სიანის ამბებად იგულისხმება ჩან კაი-შისა და ჩან სუე-ლიანს შორის წამოჭრილი მწვავე კონფლიქტი, რომლის დროსაც 1936 წლის 12 დეკემბერს ჩან კაი-ში დაპატიმრებულ იქნა ქალაქ სიანში, შენსის პროვინციაში. გამართული მოლაპარაკების შედეგად ჩან კაი-ში განთავისუფლებულ იქნა 1936 წლის 25 დეკემბერს. შემდეგ კი სიანის ამბებმა დიდად შეუწყეს ხელი იაპონიის საწინააღმდეგო ერთიანი ნაციონალური ფრონტის შექმნას ჩინეთში). ეს დღე ჩინეთში ცნობილია „ერის სულიერი აღორძინების დღედ".

დღისით ქუჩებსა და საჯარო ადგილებში რამდენიმე ათასმა ბოისკაუტმა, სტუდენტმა და არტისტმა მოაწყო შეწირულებათა შეგროვება ომის ფონდისათვის. შუადღისას ქალაქის სამ რაიონში შესდგა დიდი მიტინგები, რომლებზედაც მასობრივმა ორგანიზაციებმა ჩან კაი-შის მიართვეს დროშები, როგორც იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მხარს უჭერენ მის პოლიტიკას — განმანთავისუფლებელი ომის პოლიტიკას. საღამოს ქალაქში გაიმართა ჩირაღდნებიანი სვლა, რომელშიც მონაწილეობდა ათეული ათასობით კაცი. დემონსტრაციაში მონაწილეობდა მოსახლეობის ყველა ფენა. დემონსტრაციამ შუაღამემდე გასტანა.

ჩიანოს მოლაპარაკება ბუდაპეშტში

ლონდონი, 26 დეკემბერი (საკდესი). დიპლომატიურმა წრეებმა მიიღეს ცნობები, რომ ბუდაპეშტში ჩიანოს დარბაზობის დროს იაპონიის ელჩი მასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რათა უნგრეთი, აგრეთვე მანჯოუ-გო შეერთებოდნენ ანტიკომინტერნულ პაქტს, და რომ ჩიანო ამ წინადადებას კეთილსასურველად შეხვდა.

ჩინეთი. ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის წევრებს მიჰყავთ ბავშვები იმ დასახლებული პუნქტიდან, რომელიც იაპონელ დამპყრობელთა თავდასხმის საფრთხეშია. საკდესის ფოტოქრონიკა.

ახალ სამეურნეო წელს წლიური გეგმის გადაჭარბებით ეგებებიან

თელავი, 27 დეკემბერი (საკდესი). ძაფსახვევი ფაბრიკის მუშათა კოლექტივმა სტახანოვური მეთოდების ფართო დანერგვით და გამოყენებით წლიური საწარმოო დავალება ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა.

26 დეკემბრისათვის ფაბრიკამ სახელმწიფოს ჩააბარა 55.344 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის ძაფი. წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. ტირაჟური ძაფი ამოხვეულია 3,6 პროცენტის გადაჭარბებით.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება 1-ლ იანვრამდე სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 1400 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ძაფი.

საწარმოო დავალების შესრულებაში თავი ისახელეს სტახანოველებმა: შოშიაშვილმა, შ. ოგანეზოვმა, სარქისოვმა, ი. ერგემლიძემ, მ. ბალანაშვილმა, ს. ასაშვილმა და სხვებმა, თვითეული მათგანი დღიურ ნორმას 150-200 პროცენტით ასრულებდა.

სტამბა „კომუნისტმა" გეგმა შეასრულა

სტამბა „კომუნისტის" მუშაკთა კოლექტივმა წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა ვადამდე, 22 დეკემბერს შეასრულა გადაჭარბებით. გეგმით გათვალისწინებული იყო 1.675.000 მანეთის (1926-27 წლის უცვლელ ფასებში) პროდუქციის გამოშვება. ფაქტიურად გამოშვებულია 1.676.700 მანეთის პროდუქცია. 1938 წლისათვის გათვალისწინებული დაგროვების გეგმა 400 ათასი მანეთის რაოდენობით შესრულებულია.

სტამბის კოლექტივი პირობას იძლევა, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, განამტკიცებს შრომის დისციპლინას, ფართოდ დანერგავს მუშაობის სტახანოვურ მეთოდებს, სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებს ფრენიებსა და წამგლეჯებს.

სტამბა „კომუნისტის" დირექტორი:
ნ. კვინტრაძე

ტყიბულის ქვანახშირის მნგრეველ კვირიკეიშვილის შესანიშნავი რეკორდი

ტყიბული, 27 დეკემბერი (საკდესი). სტალინის სახელობის შახტის სტახანოველმა მნგრეველმა ამხ. მელიტონ კვირიკეიშვილმა ქვანახშირის ნგრევის შესანიშნავი რეკორდი დაამყარა. 26 დეკემბერს ამხ. მ. კვირიკეიშვილმა გეგმით გათვალისწინებული 15 ტონის ნაცვლად მოანგრია 99 ტონა ქვანახშირი. დღიური ნორმა 660 პროცენტით შეასრულა და 151 მანეთი გამოიმუშავა.

ამხ. კვირიკეიშვილთან მომუშავე გამგორებლებმა ხიზანეიშვილმა, ქათამაძემ, გვენეტაძემ და გუდანოვმა —თვითეულმა ნორმა 325 პროცენტით შეასრულა და 63 მანეთი და 70 კაპ. გამოიმუშავა.

პედაგოგ-პროფესორთა ბრიგადები რაიონში

საქართველოს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმა ჭიათურასა და სილნაღ-შირაქში მიავლინა პედაგოგ-პროფესორთა ორი ბრიგადა.

აღნიშნული ბრიგადები ორი დღის განმავლობაში ჩაატარებენ კონფერენციებს, რომლებზედაც წაიკითხავენ მოხსენებებს რაიონისა და წარმოების ექიმთა და მუშა-მოსამსახურეთათვის.

კონფერენციაზე ჭიათურის რაიონის ბრიგადა გააკეთებს შემდეგ მოხსენებებს: დოც. ახლანიშვილი — „ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნები და მნიშვნელობა" და „ჩიყვის პრობლემა საქართველოში", პროფ. ელიაშვილი — „საკვერცხების ფუნქციის შესახებ საკითხის თანამედროვე მდგომარეობა", პროფ. ხრამელაშვილი — „რქოვანას გადანერგვა" და დოც. გიგოლოვი — „ტრავმატიზმის საკითხები".

სილნაღ-შირაქის ბრიგადა გააკეთებს შემდეგ მოხსენებებს: პროფ. ანდღულაძე — „არტერიული ჰიპერტონიის გენეზისის საკითხის თანამედროვე მდგომარეობა" და „ვეგეტატურ ნერვულ ენდოკრინულ სისტემათა ურთიერთდამოკიდებულების თანამედროვე გაგება", პროფ. ოქროპირიძე — „ბრუცელოზის კლინიკა და თერაპია", დოც. ჯავახიშვილი — „საქართველოს კურორტები".

ნორიოს ნავთი

საკდესის თანამშრომელთან საუბარში საქნავთის საძიებელი კანტორის კრელიუსური კვლევის უფროსმა ა. ა. კობახიძემ შემდეგი განაცხადა: კრელიუსური კვლევის მიზანი არის შეისწავლოს და მოამზადოს ფართობი ღრმა ბურღვით კვლევისათვის.

ნორიოს ნავთის საბადოში ვაკეთებულია 15 ბურღვილი, ახლა ემზადებიან 16 ბურღვილის გასაკეთებლად.

კვლევამ მიიღო ახალი დამაჯერებელი მასალა ამ რაიონის ნავთიანობის შესახებ: გარდა ნავთის ცნობილი შადრევანისა № 16 ბურღვილიდან, 13 ოქტომბერს შადრევანმა ამოხეთქა № 18 ბურღვილიდან, 23 ოქტომბერს № 20 ბურღვილიდან, ხოლო 11 დეკემბერს მძლავრად ამოხეთქა ნავთმა და გაზმა № 26 ბურღვილიდან.

მალე კრელიუსური კვლევის მუშაობა გადატანილ იქნება სოფელ მარტყოფის რაიონში. უკვე დასახულია წერტილები, სადაც უნდა მოხდეს ბურღვა.

ჯანსახკომმა უნდა გარდაქმნას მუშაობა

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო სახალხო ჯანმრთელობის დაცვის უდიდესი ალმავლობა. პარტიისა და ხელისუფლების განსაკუთრებული მზრუნველობის შედეგად გაიფურჩქნა და აყვავდა ორდენოსანი საქართველოს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ქსელი. ყოველწლიურად იზრდება სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის განკუთვნილი ნაწილი.

მიუხედავად ამისა, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და ქსელში აუარებელ ნაკლოვანებებს ვხვდებით. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა ვერ გაართვა თავი იმ უდიდეს ამოცანათა შესრულებას, რომლებსაც მშრომელი მოსახლეობა უყენებს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე დეპუტატებმა სამართლიანად გააკრიტიკეს ჯანსახკომის მოუქნელი მუშაობა და ხელმძღვანელობა.

მაგრამ საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, პირველ რიგში მისმა ხელმძღვანელმა ამხ. ონ. თოდაძემ, ვერ შესძლო მუშაობის გარდაქმნა, მუშაობის არსებითად გაუმჯობესება.

○

დავიწყოთ ჯანსახკომის აპარატიდან. ჯანსახკომის ცენტრალური აპარატის მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეთავსებით მუშაობს. აპარატის მუშაკები შეთავსებით ისე არიან გადატვირთულნი, რომ ზოგიერთ მათგანს ხელფასის აღებაც ავიწყდება. ამიტომ აქ დღის 12-1 საათამდე პასუხისმგებელ მუშაკს იშვიათად ნახავთ, მათ თავისი ძირითადი სამუშაოსათვის ძალიან ცოტა დრო რჩებათ. ეს უარყოფით გავლენას ახდენს ჯანსახკომის მთელ მუშაობაზე.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. ო. თოდაძემ ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად სრულიად მიუღებელ ხერხს მიმართა. ერთ დღეს დილის 9½ საათზე კარისკაცის თანხლებით მან შემოიარა სამმართველოები და ყველა კარი გამოჰკეტა. ამ დღეს დაგვიანებით გამოცხადებული თანამშრომლები მისი განკარგულებით პირველ საათამდე არცერთი არ დაუშვეს სამუშაოზე. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თანამშრომლებსა და მთხოვნელებში.

ძალიან ხშირად სამმართველოებმა არაფერი იციან ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მათი საშუალებით უნდა ტარდებოდეს. მაგალითად, ექიმთა ბრიგადები და ცალკეულ სამმართველოთა ინსპექტორები სამმართველოებთან შეუთანხმებლად იგზავნებიან რაიონებსა და სოფლებში.

არაკოლეგიური და უგეგმო მუშაობის შედეგად მნიშვნელოვან თათბირებსა და კოლეგიის სხდომებს სრულიად მოუმზადებლად და უსისტემოდ იწვევენ და ატარებენ. 16 დეკემბერს სახ. კომისარმა მოიწვია რაიონების ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი, ჯანსახკომის სამმართველოთა უფროსებმა კი ეს მხოლოდ მაშინ გაიგეს, როცა თათბირი უკვე გახსნილი იყო. ამიტომ თათბირმა უნაყოფოდ ჩაიარა. თათბირის სტენოგრამიდან ძნელი გასაგებია თუ რა მიზანი და ამოცანები ჰქონდა მას.

ჯანსახკომის აპარატის მოუქნელ და ბიუროკრატიულ მუშაობას ისიც მოწმობს, რომ აქ ჯანმრთელობის განყოფილებათა მუშაკებს სასწრაფო მოთხოვნებზე თვეობით არ აძლევენ პასუხს. მაგალითად, თიანეთის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების დეპეშა, რომელზედაც სახ. კომისარმა 9 ივლისს წააწერა რეზოლუცია და მედმომარაგების ნაცვლად სამკურნალო სამმართველოს გადასცა, აქ ინახებოდა 26 აგვისტომდე, ხოლო კუთვნილებისამებრ მედმომარაგებამ 29 აგვისტოს მიიღო. ჯანმრთელობის განყოფილების მოთხოვნა კი მხოლოდ ნოემბერში დააკმაყოფილეს. ასეთივე ბედი ეწია სამტრედიის რაიაღმასკომის მოთხოვნას სანეპიდემიური სადგურის მომარაგების შესახებ და სხვ.

○

უსისტემობა და ბიუროკრატიზმი, რასაც ადგილი აქვს ჯანსახკომის აპარატში, აღუნებს ჯანმრთელობის დაცვის ძირეული ქსელის მუშაობას და შეუსრულებელი რჩება მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 23 აპრილის დადგენილების მიხედვით სოფლის საექიმო უბნების განმტკიცებისათვის საჭირო იყო საექიმო უბნების კეთილმოწყობა და ექიმთა კადრებით უზრუნველყოფა. მაგრამ დღესაც 145 საექიმო უბანი უექიმოდ არის დარჩენილი, სარაიონო ცენტრებს 243 ექიმი აკლიათ. ასევე გახსნილი არ არის 79 საფერშლო და 40 საბებიო პუნქტი.

ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ კადრები არა ჰყავთ. ნამდვილად კი კადრები არის, მაგრამ მათ წესიერად ვერ ანაწილებენ. წელს მარტო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა 400-ზე მეტი ექიმი გამოუშვა. მათგან რაიონებსა და სოფლებზე 179 კაცი გაანაწილეს, მაგრამ ჯანსახკომმა არ იცის, თუ სად არიან ეს ექიმები, გამოცხადდნენ თუ არა ადგილებზე, რა პირობებში უხდებათ მათ მუშაობა, ვინ როგორ იყენებს მის მიერ გაგზავნილ კადრებს.

ამის გამო არცთუ ცოტანი არიან შრომის დეზერტირები, რომლებიც გაურბიან სოფლად მუშაობას და თბილისში პროსპექტებზე და ჯანსახკომის კორიდორებში ეძებენ პროტექტორებს.

ჯანსახკომი უძლური აღმოჩნდა ექიმთა კადრების სწორად განაწილების საქმეში. სოფლად გაგზავნილი ექიმები თბილისსა და სხვა ქალაქებში ეწყობიან. მაგალითად, თბილისის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებამ (გამგე—თამარ წულაია) სამუშაოზე მოაწყო ბოგდანოვკის რაიონიდან გამოქცეული ექიმი. თბილისის ლენინის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებამ (გამგე—ი. ალანია) თავის რაიონში დანიშნა ყარაიას რაიონის ექიმი. ასევე მოიქცა ჯანსახკომის ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის დირექტორი ალ. გზირიშვილი, რომელმაც თავის საავადმყოფოში სამუშაო მისცა ბორჯომის რაიონიდან უნებართვოდ წამოსულ ექიმს.

ასეთი შემთხვევები მრავალია. მაგრამ ჯანსახკომი არავითარ ზომებს არ იღებს არც დეზერტირ ექიმებისა და არც მათი მფარველების წინააღმდეგ.

ექიმების სოფლად მხოლოდ გაგზავნა როდი კმარა. საჭიროა შეუქმნათ მათ ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები, უზრუნველვყოთ ისინი კულტურულად მოწყობილი ბინებით, გათბობა-განათებით, ტრანსპორტით, ბიბლიოთეკებით და სხვ. ამაზე მიგვითითებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 23 აპრილის დადგენილება. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ეს არ სრულდება. ამის გამო ექიმები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ, მოითხოვენ სათანადო პირობების შექმნას, მაგრამ მათი ხმა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

○

საკურორტო სამმართველოს ჯანსახკომისარი არ აქცევს სათანადო ყურადღებას. საქართველოს კურორტებს — სრულიად-საკავშირო ჯანმრთელობის კერებს—აკლიათ მუდმივ სამუშაოზე—40 ექიმი, ხოლო სეზონურზე—72.

ამის შესახებ საკურორტო სამმართველომ ჯანსახკომს ექვსჯერ წარუდგინა მოთხოვნილება, მაგრამ ყველა უყურადღებოდ დარჩა, ბოლოს მე-7 მოთხოვნაზე ამხ. ო. თოდაძემ ასეთი რეზოლუცია წააწერა:

„როგორ შეიძლება ხელი შეეშალოს მაცადინეობის დაწყებას ერთი. მეორეც ერთი წყება ხალხი შვებულებაშია. ახლა მეორე წყება როდის წავა შვებულებაში. საავადმყოფოები ქალაქად უექიმოდ არის დატოვებული. ამიტომ ვისაც შვებულების ვადა გაუთავდა უნდა ჩამოვიდონ". (დაცულია ავტორის სტილი).

ამ რეზოლუციის შინაარსი საიდუმლოდ დარჩა როგორც საკურორტო სამმართველოს მუშაკებისათვის, ისე ჩვენთვისაც.

ამას ის მოჰყვა, რომ კურორტებიდან სეზონის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე გამოიძახეს ექიმები, რამაც შეაფერხა კურორტთა საექიმო მომსახურება.

იმის გამო, რომ საკურორტო სამმართველოში დიდხანს თარეშობდნენ ხალხის ამჟამად გამომჟღავნებული მტრები, და ჯანსახკომიც არავითარ დახმარებას არ უწევს საკურორტო სამმართველოს განახლებულ ხელმძღვანელობას, მომავალი საკურორტო სეზონისათვის მზადებაც საფრთხეშია.

○

ჯანსახკომს აქვს სააფთიაქო სამმართველო, რომლის ხელმძღვანელობა აფთიაქების მიმართ დამაკმაყოფილებელი არ არის. სოფლისა და ქალაქების აფთიაქებში ძალიან ხშირად არ მოიპოვება აუცილებელი წამლეული, საჭირო მედიკამენტები. მაგალითად, ქუთაისის სააფთიაქო სამმართველოს ბინტებიც არ ჰქონია. ასეთივე მდგომარეობაა საგარეჯოში და თვით თბილისშიც. თბილისის მე-3 აფთიაქი ემსახურება 26 კომისრის სახელობის მთელ რაიონს. ის ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებას. ამის შესახებ გაზეთი „კომუნისტი" თავის დროზე იძლეოდა სიგნალს, მაგრამ არც ჯანსახკომმა და არც სააფთიაქო სამმართველომ მდგომარეობის გამოსწორებისათვის თავი არ შეიწუხეს. წამლეულისა და მედიკამენტების მომარაგების მხრით ცუდად არის საქმე თბილისის მე-3, მე-8, მე-11 და სხვა აფთიაქებშიც.

ჯანსახკომმა და სააფთიაქო სამმართველომ (უფროსი—მიხ. კაკაბაძე) ვერ შესძლეს გამოეყენებინათ ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი. ინსტიტუტი წელს 37 კაცმა დაამთავრა. აქედან საგზურები 26 კაცმა მიიღო. ხოლო ჯანსახკომში არ იციან, რამდენი გამოცხადდა ამათგან სამუშაოზე.

○

იმის გამო, რომ თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების აპარატის მუშაკებიც, გამგიდან დაწყებული ტექნიკურ მუშაკებამდე, შეთავსებით არიან გადატვირთულნი, მათ დრო არ რჩებათ იმისათვის, რომ კონკრეტულ-ოპერატიულად უხელმძღვანელონ ქალაქის სამკურნალო დაწესებულებებს. არადამაკმაყოფილებელია ქალაქის ზოგიერთი უბნის სანიტარული მდგომარეობა, ძალიან ცუდად მუშაობს სასწრაფო საექიმო დახმარების სადგური (დირექტორი ი. ტერ-გრიგორიანი). ეს სადგური ვერ ამართლებს დანიშნულებას. სასწრაფო შემთხვევების დროს გამოძახებისას აქ ჩვეულებრივ გაისმის: „ახლა მანქანა არ არის". თბილისში უნდა მუშაობდეს სასწრაფო დახმარების 11 მანქანა, ნამდვილად მხოლოდ 4 მანქანა მუშაობს. „სასწრაფო დახმარებიდან" ტელეფონით გამოძახებით მანქანებს იშვიათად თუ გაგზავნიან ბინებზე, ხოლო თვით სადგურში მიყვანილ ავადმყოფს არათუ სასწრაფო დახმარებას არ უწევენ, არამედ უსულგულოდ ეკიდებიან. მაგალითად, 20 დეკემბერს სასწრაფო დახმარების სადგურში მოიყვანეს ავადმყოფი გ. ქიმბარიშვილი, რომელიც 4 დღის შემდეგ დაიბარეს. ხოლო განმანაწილებელი პუნქტის გამგემ ს. იშხნელმა დასძინა: „ოთხი დღის შემდეგ თუ მოხვდი საავადმყოფოში, მაშინაც მადლობა მითხარიო". ასევე მოექცნენ ავადმყოფ მარო მესროპიანს.

არც საავადმყოფოს გარეშე ქსელშია სახარბიელო მდგომარეობა. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების მუშაკები სოცშეჯიბრების ხელშეკრულებების წერასა და გაფორმებას დიდ დროს ანდომებენ, პოლიკლინიკები და დისპანსერები კი სათანადო საექიმო მომსახურებას ვერ უწევენ მოსახლეობას. მაგალითად, მე-7 პოლიკლინიკაში (ორჯონიკიძის რაიონი) მოქ. ჯანიკაშვილი (მარტის ქ. № 6) მთელი დღე ამაოდ ელოდა დილით გამოწერილ ექიმს. თბილისის აეროკლუბის თანამშრომელი კოვალენკო ამ პოლიკლინიკაში სამ დღეს უშედეგოდ ეძებდა ქირურგს.

○

ჯანსახკომი კიდევ უფრო სუსტად ხელმძღვანელობს რაიონებს. რაიონების ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეები ვერ გრძნობენ ჯანსახკომის საჭირო დახმარებასა და ხელმძღვანელობას. როგორც „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ამხ. გრ. ლომიძე გვწერს, ბორჯომის რაიონშიც მშრომელთა საექიმო მომსახურება სათანადო დონეზე ვერ არის დაყენებული. აფთიაქი და საექიმო უბნები არა აქვთ რაიონის ცენტრიდან ისეთ დაშორებულ სოფლებს, როგორიც არის მაჭარწყალი, გუჯარეთი, ტაბაწყური, დაუშვებლად ჭიანურდება ბორჯომის სარძეო სამზარეულოს მშენებლობა, ბორჯომ-ბალისა და მუშათა უბნის პოლიკლინიკები ცუდად მუშაობენ. მუშათა უბნის პოლიკლინიკაში ექვს თვეზე მეტია აწყვია რენტგენის კაბინეტის მოწყობილობა, მაგრამ მისი გამართვისათვის თავს არავინ იწუხებს. სოფლის ექიმებისათვის მეურნეობის მოსაწყობად გრძელვადიანი სესხი ჯერჯერობით არ მიუციათ. ხოლო თვით ბორჯომის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ექიმი ივ. კვანტალიანი ჯანსახკომის ხელმძღვანელების მიბაძვით შეთავსებით მუშაობს მცხეთაში (!!), მის მოადგილეს ირ. აბზიანიძეს კი სამი შეთავსება აქვს.

ცუდი მდგომარეობაა ცხაკაიას რაიონშიც. „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტის ამხ. ვ. კალანდარიშვილის ცნობით რაიონს აკლია საექიმო კადრები, რის გამო ხშირად კოლმეურნეები იძულებული არიან მეზობელი რაიონებიდან მოიყვანონ ექიმი. მაგალითად, ავადმყოფ ლიდა ტორჩინავას ექიმი ლესიჭინიდან (ჩხოროწყუს რაიონი) მოუყვანეს, ხოლო მარო მურღულიას კი კიწიიდან (გეგეჭკორის რაიონი). სოფ. ფოცხოს საექიმო უბანი უექიმოდ არის. იქაურმა ექიმმა ალ. ქადარიამ თვითნებურად დასტოვა სამუშაო და ქ. ცხაკაიაში მოეწყო. ამას კარგად ხედავს ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ექ. სიმონ შურღაია, მაგრამ ზომებს არ იღებს. იქაური ექიმები შამათავა და არისავა ცდილობენ გვერდი აუარონ სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილ მშრომელთა უფასო საექიმო დახმარების უფლებას და შემოსავლის გადიდების მიზნით თავიანთ ბინებში ავადმყოფთა რიგებს მართავენ.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომმა და რაიაღმასკომმა არაერთხელ მიმართეს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რომ მას გაეგზავნა რაიონისათვის საჭირო ექიმები, ექიმთა საგზაო ხარჯებიც გადაურიცხეს, მაგრამ ჯანსახკომის დაპირებებს მაინც ბოლო არ უჩანს...

მსგავსი მდგომარეობაა ორჯონიკიძის რაიონშიც. როგორც „კომუნისტის" კორესპონდენტი ამხ. დავ. გაბრიაძე გვწერს, ამ რაიონში ჯერ კიდევ არ გაუხსნიათ სამი საფერშლო და ერთი საბებიო პუნქტი. ვახანის, წიფის, სარგვეშის და ღორეშის საექიმო უბნებს ექიმები არა ჰყავთ, რენტგენის კაბინეტი და ლაბორატორია გამოუყენებელია, ხოლო გამგე ექიმი დონდუა და მისი თანაშემწე ხელფასს თითქმის ტყუილად იღებენ.

სასწრაფო დახმარების მანქანა გამოყენებულია ჯანმრთელობის განყოფილების მუშაკთა და მათ მეგობართა პირადი საჭიროებისათვის. აქ ჩვეულებად არის გადაქცეული ბანკეტების მოწყობა, რის ხარჯებსაც სხვადასხვა სახის სამკურნალო ფონდებიდან ისტუმრებენ.

საქართველოს ჯანსახკომს ერთხელაც არ მოსვლია აზრად შეემოწმებინა ამ რაიონების ჯანმრთელობის განყოფილებათა მუშაობა. ეს მაშინ, როცა აქვე მედმომარაგების კანტორას ამ ერთი წლის განმავლობაში ახლა მეექვსედ უკეთებენ რევიზიას და შედეგი ჯერაც არ არის ცნობილი.

○

ასეთი მდგომარეობის შესახებ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და მის ხელმძღვანელს მოსდით სიგნალები ძირეული მუშაკებისაგან, სამმართველოების უფროსები მოითხოვენ სახალხო კომისრისაგან გადამწყვეტი ზომების მიღებას, მაგრამ, როგორც ვთქვით, ჯანსახკომში კრიტიკასა და თვითკრიტიკას ზოგიერთნი ვერ ეგუებიან. ხოლო თვით ხელმძღვანელი ამხ. ო. თოდაძე ხშირად უნდობლად ეკიდება „აბეზარი" ამხანაგების სრულიად სამართლიან შენიშვნებს.

ჩამოთვლილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა ამხ. ო. თოდაძემ საკმარისად ვერ შეიგნო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის სერიოზული გაფრთხილება.

საქ. ჯანსახკომისარიატმა უნდა გააუმჯობესოს და არსებითად გარდაქმნას მუშაობა.

შ. ჯიქია
გ. საყვარელიძე
გ. ზაქარაია
მ. საკარული

ТБИЛИСИ

თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვა 1898 წელს

ამიერ-კავკასიის რკინიგზების თბილისის მთავარი სახელოსნოები და დეპო XIX საუკუნის 90-იან წლებში თბილისის ყველაზე დიდ სამრეწველო საწარმოს წარმოადგენდა. 1898 წელს ამ საწარმოში დაახლოებით 2.120 მუშა მუშაობდა, რომელთა მუშაობის პირობები დღითი-დღე უარესდებოდა: ხელფასის სისტემატური დაკლება, აუტანელი ჯარიმები, უუფლებობა სულს უხუთავდა მუშებს.

რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოების და დეპოს მუშებმა რუსეთის მუშათა მოძრაობის გავლენით მალე შეიგნეს, რომ მათ ბევრის მიღწევა შეუძლიათ ორგანიზებული ბრძოლით.

ამ დროს თბილისის მუშების კლასობრივი შეგნება ჯერ კიდევ სუსტი იყო. საჭირო იყო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროზე მიშველება, რომ მას თბილისის მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება შეეტანა. ქართველი „ლეგალური მარქსისტები“, „მესამე დასის“ უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით მარქსიზმის იდეების მშვიდობიან ლეგალურ პროპაგანდას არ გასცილებია.

რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი, „მესამე დასის“ უმცირესობა (ამხანაგები: სტალინი, კეცხოველი, წულუკიძე), რომელიც 1898 წელს ჩაისახა, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეუპოვარ და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა „მესამე დასის“ უმრავლესობის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

ამხანაგი სტალინი 1898 წლის იანვრიდან მჭიდროდ დაუკავშირდა რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოების და დეპოს მოწინავე მუშებს, წრეების ორგანიზატორებს მ. ბოჭორიძეს, ზ. ჩოდრიშვილს, ვ. სტურუას და სხვ. და დაუწყო ხელმძღვანელობა მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს.

ამხანაგი სტალინი უდიდესი სიყვარულით და მხურვალე მხარდაჭერით სარგებლობდა თბილისის მოწინავე მუშებში, რომლებთანაც იგი წრეებში ეწეოდა რევოლუციური მარქსიზმის დაუღალავ პროპაგანდას.

1898 წელს ამხანაგმა სტალინმა მარტო თბილისის მთავარ სახელოსნოს და დეპოს მოწინავე მუშებისაგან 5 არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრე ჩამოაყალიბა, რომელთა მუშაობას თვით ხელმძღვანელობდა. წრეებში ამხანაგი სტალინი არჩევდა ყველაზე უფრო სანდო და საიმედო მოწინავე მუშებს. სტალინის წრის წევრები ღრმად იმსჭვალებოდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის აზრებით და მათი საშუალებით რევოლუციური იდეები ვრცელდებოდა მუშათა ფართო მასებში.

„თბილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეათა პროპაგანდასთან ერთად, ხელმძღვანელობდა თბილისის პროლეტარიატის გაფიცვებს და პოლიტიკურ ბრძოლას.

1898 წელს თბილისში რკინიგზის სახელოსნოებში პირველად ეწყობა დიდი გაფიცვა“[1].

გაფიცვის მიზეზი იყო მთავრობის განკარგულების საფუძველზე დაწერილი თბილისის მთავარ სახელოსნოების უფროსის 1898 წ. 6 დეკემბრის განცხადება, რომელიც გაკრულ იქნა მთავარ სახელოსნოების ყველა საამქროებში. მთავრობის ეს განკარგულება მძაფრად აუარესებდა მუშათა პირობებს, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია მუშებში.

სახელოსნოების და დეპოს მოწინავე მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები თბილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფის და პირადათ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ეწევა გაფიცვის სამზადისს.

27 (14) დეკემბერს დილის 11 საათზე სახელოსნოების მუშებმა დასტოვეს საამქროები, ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ სახელოსნოებიდან, დაიჭირეს რკინიგზა და შეაჩერეს მატარებლების მოძრაობა. გაფიცული მუშები მოითხოვდნენ მთავრობის ბრძანების დაუყოვნებლივ გაუქმებას.

ისინი გმირულად იბრძოდნენ. ჟანდარმერიამ დააპატიმრა მოწინავე მუშები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მღელვარება გაფიცულებში.

გაფიცული მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად დღის სამ საათზე სადგურზე მივიდნენ გამოწვეული დამატებითი ჯარის ნაწილები.

მუშებზე იერიში მიიტანეს პოლიციამ და ყაზახებმა, დღის 5 საათზე განდევნეს ისინი რკინიგზიდან და აღადგინეს მოძრაობა. შეტაკების დროს დაჭრილ და დასახიჩრებულ იქნა 21 მუშა. 14 დეკემბერს ღამით რკინიგზის დეპო და სახელოსნოები ალყაშემორტყმული იყო ყაზახებით.

გაფიცვა გრძელდება. ჟანდარმერია **28 (15) და 29 (16)** დეკემბერს მასობრივად აპატიმრებს მთავარ სახელოსნოს და დეპოს მოწინავე მუშებს (დააპატიმრეს 41 კაცი). ჟანდარმერიას იმედი ჰქონდა, რომ უსასტიკესი რეპრესიებით მალე გასტეხდა გაფიცულ მუშებს, მაგრამ მუშები მხნედ განაგრძობდნენ გაფიცვას.

ჟანდარმერია შეეცადა შტრეიკბრეხერების საშუალებით აემუშავებინა სახელოსნოები, მაგრამ არც ამ ზომამ გასჭრა.

აი რას სწერს ამის შესახებ თბილისის რკინიგზის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს: „მომუშავეებს (ე. ი. შტრეიკბრეხერებს. — ს. ს.) ემუქრებიან არა მარტო გაფიცულები, არამედ მათი ცოლებიც, ემუქრებიან მათ ბინებზე თავდასხმით“.[2]

27 (14) დეკემბერს დაწყებული გაფიცვა 2 იანვარს (21 დეკემბერს) შეწყვეტილი იქნა იმის შედეგად, რომ მეფის მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა 6 დეკემბრის განკარგულება და ამით დაეკმაყოფილებინა გაფიცულ მუშათა მოთხოვნილება.

რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშათა 1898 წლის დეკემბრის გაფიცვამ დიდი პოლიტიკური გავლენა მოახდინა თბილისის მუშებზე. გაფიცვამ დაარწმუნა თბილისის მუშები, რომ მეფის ხელისუფლებისა და კაპიტალისტების დასამხობად შეერთებული ბრძოლა აუცილებელია. გაფიცვა თბილისის მუშების პოლიტიკური აღზრდის ნამდვილი სკოლა იყო.

ს. სიმონგულოვი

---

[1] ლ. ბერია, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 24, 1935 წ. III გამოც.

[2] თბილ. ჟანდ. სამ. საქმე № 212, გვ. 84.

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ კომუნისტების იდეურ აღზრდას

საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენს საპროპაგანდო-საagitაციო მუშაობაში. იგი წარმოადგენს ბოლშევიკური პროპაგანდის გაშლილ სამოქმედო პროგრამას, იგი მოასწავებს ახალ ხანას ბოლშევიკური პროპაგანდის ორგანიზაციაში, ახალ აღმავლობას ჩვენი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნებამდე ჩვენი რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა დამახინჯებებს და მთელ რიგ ნაკლოვანებებს პროპაგანდისტული მუშაობის დარგში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ პარტიული ორგანიზაციები გატაცებული იყვნენ მხოლოდ წრეობრივი მუშაობით, წრეებში კომუნისტთა სავალდებულო ჩაბმით და სხვ., ხშირად ამ „ვალდებულების“ მოხდა კურიოზამდე მიდიოდა. მარგანტრესტის პირველადს პარტორგანიზაციაში ინჟინერ ბორის აკიმენკოს, რომელმაც ქართული ენა ძალიან სუსტად იცის, ავალებდნენ, როგორც კომუნისტი დასწრებოდა პოლიტსკოლის მეცადინეობას ქართულ ენაზე. ამხ. აკიმენკოც, როგორც პარტიელი, იხდიდა „მოვალეობას“ და მისთვის გაუგებარ ენაზე ისმენდა ლექციებს. ცხადია, ამხ. აკიმენკო ტყუილ-უბრალოდ აცდენდა საათებს. წრემ მას ვერაფერი მისცა. ახლა აკიმენკო მეცადინეობს დამოუკიდებლად, სწავლობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას, იყენებს მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებს.

ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ ამხ. დიმიტრიევი, პეტროსოვი და სხვები. კომუნისტები წლობით „სწავლობდნენ“ ერთსა და იმავე ტიპის წრეებში. მსგავსი მაგალითები მრავალი მოიპოვებოდა ჩვენს რაიონში.

რაიონული პარტიული აქტივის 2 დეკემბერს ჩატარებულ კრებაზე, რომელზეც განხილულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“, კომუნისტებმა ერთსულოვნად მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება და, გააკრიტიკეს რა პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებანი, შემოიტანეს წინადადებები ამ მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება განხილულ იქნა აგრეთვე პირველადს პარტორგანიზაციებში ღია პარტიულ კრებებზე.

8 დეკემბერს ჩატარდა ამავე საკითხზე ინტელიგენტთა რაიონული კრება, რომელსაც ქალაქისა და სოფლის ინტელიგენტთა უმრავლესობა ესწრებოდა. კამათში გამოსულმა ინტელიგენტებმა—დ. ღვალაძემ, ვ. მაჩიტიძემ, გ. შეყრილაძემ, ს. ფხაკაძემ, ს. ცომაიამ და სხვებმა ერთსულოვნად მოიწონეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და განაცხადეს, რომ ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლას შეუდგებიან ინდივიდუალური, დამოუკიდებელი მეცადინეობის გზით.

რაიაღმასკომის, მუშფაკის, ქალაქის საბჭოს, მარგანტრესტის, ვოროშილოვის სახელობის მაღაროს და სხვა პირველადს პარტორგანიზაციებში ინტელიგენტები აცხადებენ სურვილს შეისწავლონ საკ. კ. პ. (ბ) ისტორია დამოუკიდებელი, ინდივიდუალური წესით.

ახლა მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ აღმოვუჩინოთ ყოველგვარი დახმარება პარტ-კომკავშირელებს და რაიონის ყველა მშრომელებს, საკ. კ. პ. (ბ) გმირული ბრძოლების ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ მიზნით საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომმა შეარჩია და ბიუროზე დაამტკიცა შესაფერისად მომზადებული 7 ამხანაგი კონსულტანტებად და 11 ამხანაგი ლექტორებად. ლექტორებად და კონსულტანტებად დამტკიცებული ამხანაგები რაიკომის ბიუროს მიერ განტვირთული არიან სხვა დავალებებისაგან.

პარტკაბინეტში ლექციები ტარდება წინასწარ შედგენილი გეგმით „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ თავების მიხედვით და ლენინ-სტალინის ნაშრომებზე. გათვალისწინებულია სოფლის საბჭოებში და მაღაროებში ლექციების ჩატარება. ასეთი ლექცია პირველად მოეწყო 12 დეკემბერს კორბოულის სასოფლო საბჭოში, თემაზე: „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში“ და 15 დეკემბერს მედპერსონალისათვის. ლექციებმა დამსწრე ამხანაგების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ჭიათურის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, იბრძოლებენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისათვის, ბოლშევიკურად უხელმძღვანელებენ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების იდეურ აღზრდას პროპაგანდისტული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

დ. ჟორჟოლიანი

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი.

საქ. კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში 19 დეკემბერს შესდგა ლექცია თემაზე: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში და მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯები“. სურათზე: უსმენენ ლექციას.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

შიო მღვიმელი

(გარდაცვალებიდან 5 წლისთავის გამო)

ხალხოსნურმა მოძრაობამ გასული საუკუნის 80-იან წლებში გორი გადააქცია ჩვენი ქვეყნის ერთერთ მძლავრ კულტურულ კერად. ქართველი ხალხოსნების უფროსი თაობისათვის ეს პატარა ქალაქი გადაიქცა იმ პლაცდარმად, საიდანაც უფრო ადვილი იყო „ტეტიებთან ტრფიალი“.

მეორეს მხრივ ამ ქალაქის სასწავლო დაწესებულებებში თავი მოიყარეს აღმზრდელებად რუსეთიდან გადმოსახლებულმა ნაროდნიკებმა, რომლებმაც ჩვენს ახალგაზრდობას მდაბიო ხალხის — გლეხკაცობის—სიყვარული აღუძრეს გულში, იმ გლეხკაცობისა, რომელიც ალექსანდრე II-ის უნიათო მანიფესტის შედეგად, თავისუფლების ნაცვლად, მემამულეთა და ჩარჩ-ვაჭართა საშინელი ექსპლოატაციის უღელქვეშ მოექცა.

უჩვეულო მაჯისცემით სცქეფდა მაშინ ლიტერატურული ცხოვრება გორში. აქ იყვნენ—ან. ფურცელაძე, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, მ. ყიფიანი, მუშა-პოეტი ი. დავითაშვილი.

მოსწავლე ახალგაზრდობა თავს იყრიდა ამ აღმზრდელთა და მწერალთა გარშემო—ავარჯიშებდა კალამს, მართავდა ლიტერატურულ დისკუსიებს, რომლებზედაც ვაჟა-ფშაველა ნამდვილი ფალავანი იყო, როგორც ამას მისი სკოლის მეგობარი ი. გარსევანიშვილი გადმოგვცემს. შესანიშნავი ლიტერატურული ახალგაზრდობა წარმოშვა ამ პერიოდში გორმა. 4 ძმანი რაზიკაშვილები, შიო ქუჩუკაშვილი და სხვ.

შიო მღვიმელი გორელ ხალხოსნებს შორის ყველაზე უმცროსი იყო. ამიტომაც ის გარშემოხვეული იყო უფროსი ამხანაგების გულისხმიერებით, მზრუნველობითა და სიყვარულით. მათ აღუძრეს შიოს მიდრეკილება მწერლობისაკენ და მადლიერი გავლენა იქონიეს მისი პოეტური ნიჭის შემდგომ გაშლაზე.

ჯერ კიდევ 19 წლისა იყო შიო მღვიმელი, როცა დაბეჭდა პირველი ლექსი „დროებაში“ 1885 წელს და მას შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ გაუგდია ხელიდან კალამი.

ხალხოსნების წრეში ჩამოყალიბდა შ. მღვიმელის მსოფლმხედველობა და მოიხაზა მისი შემოქმედების გზა.

მთელი თავისი შემოქმედება პოეტმა ხალხს უძღვნა და ხალხურობა შეიქნა მისი შემოქმედების მთავარი მასაზრდოებელი.

80-ნი და 90-იანი წლები ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეაქციის სუსხიანი წლები იყო. თავისუფალი საზოგადოებრივი აზრი შლისელბურგის და პეტრე-პავლეს ციხეების საკნებში იყო გამომწყვდეული; ათეული და ასეული რევოლუციონერები სახრჩობელებზე აჰყავდათ; თავისუფალი სიტყვა იდევნებოდა და ადამიანის გონებაზე მძიმე წყვდიადი იყო ჩამოწოლილი. ამ დროს იმედის მაპკურებელ ნექტრად იღვრებოდა შიოს სიტყვები:

„კუბოს რომ ვიწვე უძლური,
მელოდეს დამიწებაო,
მაინც შევძახებ ქვეყანას:
„დაიცა, გათენდებაო“!

ახალგაზრდა პოეტის წარმოდგენაში რევოლუცია ისახებოდა, როგორც ბუნებრივი სტიქია—ხალხის ძალა, რომელსაც უნდა წაელეკა წყვდიადი.

„და შენც მიყვარხარ, ღვართქაფო,
ზღვიდან შობილო, ზვიადო,..
მიყვარხარ, დაჰკა, ვაჟკაცო,
აბა რა გავაზვიადო!
შესძახე ომახიანად
— უნდა მოისპო წყვდიადო“!

ამ სტიქიის შემომქმედი ძალა სოციალური უკულმართობისაგან გაჩანაგებული და წელში მოხრილი იყო. შიოს შერჩა გულში შინაგანი რწმენა და იმედის ნაღვერდალი, რომ ჩაგრული ძალა თავს დაიხსნის და გამოვა ახალი ცხოვრების მაუწყებლად.

„თოფ-ზარბაზანი იფეთქებს,
ტყვია დაიწყებს ზრიალსა,
მტრის გული განადგურდება
დღეს რომ გვეძახის ტიალსა“.

ბრძოლის ჰანგების პარალელურად შიო მღვიმელის შემოქმედების სფეროში საყმაწვილო თემატიკაც შეიჭრა. მალე ბავშვების პოეტმა დაჩრდილა მასში ბრძოლის მგოსანი, ისე რომ დღემდე ქართველი მკითხველი მას იცნობდა უმთავრესად, როგორც ბავშვთა გულის მესაიდუმლეს, მის მეგობარსა და მწერალს, და მხოლოდ პოეტ ი. გრიშაშვილს უნდა ვუმადლოდეთ, რომ აღადგინა შიო მღვიმელის პოეზიის ის დაჩრდილული მხარე, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. შ. მღვიმელის „სიმღერები“, ი. გრიშაშვილის წინათქმით).

როგორც საბავშვო მწერალს, შიო მღვიმელს ჩვენს მწერლობაში ტოლი არა ჰყავს. შიოს მგზნებარე სიყვარულით უყვარდა ბავშვები:

„ყველა მათგანს შორის ხვევნით
ვიხუტებ და ვიკრავ გულში,
დღესაც დავლევ, ღამესაცა
მათს უმანკო სიყვარულში.
ვით მზის სხივი ნორჩ ყვავილებს,
აგრეთვე ყრმათ ჩემი თვალი
არ შორდება, რადგანაც მწამს
მათი კარგი მომავალი“.

შიო მღვიმელს, ისე როგორც არც ერთ მწერალს ჩვენს ლიტერატურაში, ზედმიწევნით შესწავლილი ჰქონდა ყრმის სული, მისი განცდები, მისი ნორჩი მისწრაფებანი. მან კარგად იცოდა, რომ ბავშვი, უპირველეს ყოვლისა, ბუნების ნაირნაირი ფერებით და მოვლენებით არის გარშემორტყმული. მაგრამ უტყვ საგანთა ხილვა მის ცნობისმოყვარეობას ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ პოეტი თვით კისრულობს იყოს ბავშვის თანამგზავრი ბუნების წიაღში. მას დაჰყავს იგი ყვავილების, ფრინველების, ცხოველების და მწერების საოცარ გალერიაში, უშუალოდ ალაპარაკებს ამ საგნებს მასთან თავისივე ენით, მაგრამ ისე, რომ ყრმას სამუდამოდ აღებეჭდება გონებაში თვითეული მათგანი.

შიო მღვიმელის საბავშვო ლექსები გამსჭვალულია საღი ოპტიმიზმით. ყოველი ასაკისათვის მისი ჩანგი შესაფერად ჟღერდა. ასე, მაგალითად, მოზრდილთა გულში იგი ნერგავს ვაჟკაცობას, გმირობას, პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას. ნათელი ალეგორიებით უხატავს ის ახალგაზრდობას ბევრ სოციალურ უკულმართობას. ასეთია, მაგალითად, მისი ლექსები —„ია და მზე“, „მუხა“, „ზამთარი და ნიბლია“ და სხვ.

ყველა ეს ლექსები ხალხურ ყაიდაზე იყო გაკეთებული და ამიტომ ადვილად დასამახსოვრებელი და საინტერესო ბავშვებისათვის. ვისაც ერთხელ წაუკითხავს მისი „ნაზია და წკიპა“, „თამრო და კესო“, „ნინას სიზმარი“, „შვილიშვილი და ბებია“ და სხვ., მას არასოდეს არ ამოეშლება ისინი მეხსიერებიდან. ამ მხრივ ეს ლექსები საბავშვო პოეზიის ნამდვილ შედევრებად გვევლინებიან.

ოდესღაც შიო მღვიმელი ასე მიმართავდა ბავშვებს:

„ბევრჯერ გიმღერეთ, ლამაზნო,
ბევრჯერაც აგიმღერდებით,
ვინლა დაშლის თქვენს ტრფობას,
ვიდრე არ დაგიბერდებით“!

სიბერის წლებში მგოსანი თვით მოესწრო დიდ ისტორიულ ამბებს.

ამან კიდევ უფრო მეტი ხალისი შთაბერა მის ჩანგს. ლენინ-სტალინის ეპოქის ახალგაზრდებს შორის — ოქტომბრელებსა და პიონერებს შორის,—ცოცხლობდა შიო მღვიმელი ნამდვილი სიცოცხლით. 65 წლის პოეტი „ჭაბუკად“ იქცა, ჩვენი სამშობლოს მშვენიერი თაობის ბედნიერებისა და სიხარულის მოზიარე გახდა, მაგრამ 1933 წლის 28 დეკემბერს სიკვდილმა დაადუმა მისი მგზნებარე ქნარი.

მადლიერი ქართველი ხალხი სულის სიღრმეში ინახავს შიო მღვიმელის პოეზიას და არასოდეს არ დაივიწყებს ამ ჩუმი მოღვაწის დიდ ამაგს.

ბ. აბულაძე

პასუხები მკითხველთა შეკითხვებზე

„ჩამონაჭრები“

ვუპასუხებთ ამხ. გოლოვკინის (მოსკოვის ოლქის პოდოლსკის რაიონი) შეკითხვაზე მიწის „ჩამონაჭრების“ არსისა და მნიშვნელობის შესახებ.

1861 წლის გლეხური რეფორმა რუსეთში არსებითად იყო „გლეხების ექსპროპრიაცია მემამულეთა სასარგებლოდ“ (**ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. XII, გვ. 222). ამ რეფორმის შედეგად „მემამულეებმა გაძარცვეს გლეხები, „განთავისუფლების“ დროს წაართვეს, ჩამოაჭრეს მათ იმ მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც გლეხები წინათ სარგებლობდნენ. მიწის ამ ნაწილს გლეხებმა „ჩამონაჭრები“ უწოდეს“. („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 5). შავმიწიან გუბერნიებში მემამულეებმა ჩამოაჭრეს გლეხებს გლეხური მიწების $\frac{1}{5}$ ნაწილზე მეტი. ზოგიერთ გუბერნიაში გლეხებისათვის წართმეული მიწის ნაწილი აღწევდა რეფორმამდე არსებულ გლეხურ ნაკვეთთა მთელი ფართობის $\frac{1}{3}$ და თვით $\frac{2}{5}$-ს. ამასთან მემამულეებმა დაიტაცეს, ჩამოაჭრეს უფრო ნაყოფიერი, საუკეთესო მიწები, რომლებიც წინათ გლეხებს ეკუთვნოდა.

„განთავისუფლების“ გამო, — სწერდა ლენინი — გლეხთა მიწებს მემამულეთა მიწებისაგან მიჯნავდნენ ისე, რომ გლეხებს ასახლებდნენ „ქვიშაზე“, ხოლო მემამულეთა მიწებს სოლივით არჭობდნენ გლეხთა მიწებში, რათა კეთილშობილ აზნაურებს უფრო ადვილად დაემონებინათ გლეხები და იჯარით მიეცათ მათთვის მიწა მევახშურ ფასებში“. (**ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. XV, გვ. 142).

ასეთი ოპერაციის შედეგად მემამულეთა მიწები სოლივით შეიჭრნენ გლეხთა მიწებში; შეიქმნა მიწადაქსაქსულობა, რაც გლეხებს ხელს უშლიდა ეწარმოებინათ თავიანთი მეურნეობა; ისინი იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ მემამულეებისაგან თავისივე მიწის ნაჭრები. გლეხთა მიწის „ჩამონაჭრებმა“, ლენინის გამოთქმით, შეჰქმნეს „გლეხთა **ფაქტიური** საბეგრო-საბატონო დამოკიდებულება“ მემამულეებისაგან (**ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. II, გვ. 524).

„იჯარით იღებდა რა“ მემამულისაგან თავისსავე ჩამონაჭერ მიწებს, გლეხი იძულებული იყო კაბალური მუშაობით აენაზღაურებინა მათი საფასური, სხვანაირად რომ ვთქვათ, „ნებაყოფლობით“ წასულიყო საბატონო სამუშაოზე. მაშასადამე, „ჩამონაჭრები“ წარმოადგენდნენ მუშაობით ანაზღაურების სისტემის, გლეხების დამმონებელი ამ სისტემის, ერთერთ უმთავრეს წყაროს, ბატონყმობის ნაშთს, რომელიც აჩერებდა კაპიტალიზმის განვითარებას და, მაშასადამე, ხელს უშლიდა კლასობრივი ბრძოლის განვითარებას სოფლად. ეს უკანასკნელი გარემოება წარმოადგენდა მთავარ მოტივს, რომელიც განსაზღვრავდა ბოლშევიკების პოზიციას „ჩამონაჭრების“ საკითხში.

„...ჩვენ რომ,—სწერდა ლენინი 1902 წელს,—ჩამონაჭრების დაბრუნება დაგვესაბუთებინა იმით და მხოლოდ იმით, რომ დაშვებულია უსამართლობა, — მოდით, გამოვასწოროთ იგი,—მაშინ ეს ცალიერი დემოკრატიული ფრაზა იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ჩვენს მოთხოვნას ვასაბუთებთ არა ჩივილით ისტორიული უსამართლობის გამო, არამედ აუცილებლობით — გაუქმებულ იქნას ბატონყმობის ნაშთები და გზა გაეკაფოს კლასობრივ ბრძოლას სოფლად, ე. ი. პროლეტარიატის მეტად „პრაქტიკული“ და მეტად მტკიცე აუცილებლობით“ (**ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. V, გვ. 110-111).

რსდმპ II ყრილობის მიერ 1903 წელს მიღებულ პროგრამა-მინიმუმში ნათქვამი იყო გლეხებისათვის „ჩამონაჭრების“ დაბრუნების შესახებ. მაგრამ შემდეგ მოთხოვნა გლეხობისათვის „ჩამონაჭრების“ დაბრუნების შესახებ ბოლშევიკებმა შესცვალეს მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციის მოთხოვნით, ყველა მიწების ნაციონალიზაციასთან ერთად.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შედეგად, რომელმაც მოსპო მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება, მთელი მიწა ნაციონალიზებულ იქნა და უფასო სარგებლობაში გადაეცათ გლეხებს. გლეხობამ მიიღო არა მარტო ის მიწები, რომლებიც მას წინათ ჩამოაჭრეს, არამედ მემამულეთა ყველა მიწებიც, რომლებმაც ნაციონალიზებულ სახაზინო და სამონასტრო მიწებთან ერთად შეადგინეს 150 მილიონზე მეტი დესეტინა.

საბატონო ბეგარა და ღალა

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლასთან დაკავშირებით ამხ. სალაზკინი (მოსკოვი, ქარხანა „სვარზ“) გვთხოვს ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებზე: "1. „რა არის საბატონო ბეგარა?“ და 2. „რა არის ღალა?“.

I

საბატონო ბეგარა წარმოადგენს გლეხების ექსპლუატაციის ერთერთ უმძიმეს ფორმას ბატონყმობის პერიოდში. საბატონო ბეგარის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყმა გლეხები იძულებით შრომობენ მემამულე-მებატონის მეურნეობაში.

ლენინი თავის განთქმულ შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ მიგვითითებს შემდეგ მომენტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ საბეგრო-საბატონო მეურნეობის მეტ გავრცელებას: ა) ნატურალური მეურნეობის ბატონობა, ბ) უშუალო მწარმოებლისათვის — გლეხისათვის — საერთოდ წარმოების საშუალებათა და კერძოდ მიწის მიცემა მისი როგორც მუშაძალის შესანარჩუნებლად, გ) გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან, ე. ი. არაეკონომიური იძულება, დ) ტექნიკის დაბალი და რუტინული მდგომარეობა. ეს უკანასკნელი მომენტი წარმოადგენს საბეგრო-საბატონო მეურნეობის არა მარტო პირობას, არამედ შედეგსაც.

ახასიათებდა რა საბეგრო-საბატონო მეურნეობის ძირითად ნიშნებს, ლენინი სწერდა:

„მემამულეთა მეურნეობის თანამედროვე სისტემის განხილვის დროს გამოსავალ წერტილად აღებულ უნდა იქნას ამ მეურნეობის ის წყობილება, რომელიც გაბატონებული იყო ბატონყმობის ხანაში. მაშინდელი სამეურნეო სისტემის დედაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ სამიწათმოქმედო მეურნეობის მოცემული ერთეულის, ე. ი. მოცემული მამულის მთელი მიწა იყოფოდა საბატონოდ და საგლეხოდ; უკანასკნელი უნაწილდებოდა გლეხებს, რომლებიც ამუშავებდნენ მას თავისი შრომით და თავისი ინვენტარით და იღებდნენ მისგან სარჩო-საბადებელს (გარდა ამისა ისინი იღებდნენ წარმოების სხვა საშუალებებსაც—მაგალითად, ხე-ტყეს, ზოგჯერ პირუტყვს და სხვ.). გლეხების ამ შრომის პროდუქტი წარმოადგენდა აუცილებელ პროდუქტს, თეორიული პოლიტიკური ეკონომიის ტერმინოლოგიით, აუცილებელს — გლეხებისათვის, რადგან ის აძლევდა მათ საარსებო საშუალებებს, და მემამულისათვის, რადგან ის აძლევდა მას მუშახელს; სავსებით ისე, როგორც პროდუქტი, რომელიც ანაზღაურებს კაპიტალის ღირებულების ცვალებად ნაწილს, წარმოადგენს აუცილებელ პროდუქტს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. გლეხების ზედმეტი შრომა კი მდგომარეობდა მათ მიერ მემამულის მიწის დამუშავებაში იმავე ინვენტარით; ამ შრომის პროდუქტი მიდიოდა მემამულის სასარგებლოდ. ზედმეტი შრომა აქ, მაშასადამე, სივრცით არის დაშორებული აუცილებელი შრომისაგან: მემამულისთვის ამუშავებდნენ საბატონო მიწას, თავისთვის—თავის ნადელებს; მემამულისთვის მუშაობას ანდომებდნენ კვირის განმავლობაში განსაზღვრულ დღეებს, თავისთვის—დანარჩენ დღეებს. ამნაირად, გლეხის „ნადელი“ ამ მეურნეობაში იყო როგორც ნატურალური ხელფასი (თანამედროვე ცნებებთან შეფარდებით რომ ვთქვათ), ანდა საშუალება მემამულის უზრუნველსაყოფად მუშა-ხელით. გლეხის „საკუთარი“ მეურნეობა თავის ნადელზე იყო პირობა საბატონო მეურნეობისა, მას მიზნად ჰქონდა არა გლეხის „უზრუნველყოფა“ საარსებო საშუალებებით, არამედ მემამულისა—მუშა-ხელით.

მეურნეობის ამ სისტემას ჩვენ ვუწოდებთ საბეგრო-საბატონო მეურნეობას“ (**ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. III, გვ. 139-140).

რუსეთში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის დასაწყისში გლეხები, რომლებიც საბატონო ბეგარას იხდიდნენ, იძულებული იყვნენ მემამულისათვის მოეხმარებინათ თავისი სამუშაო დროის ნახევარი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მეტიც—თითქმის მთელი კვირა. საბატონო ბეგარის არსებობასთან ერთად ვითარდებოდა სალალო სისტემაც.

1861 წლის გლეხურმა რეფორმამ ძირი გამოუთხარა საბეგრო-საბატონო მეურნეობის საფუძვლებს, მაგრამ საბატონო ბეგარა არ გამქრალა, მან მხოლოდ სახე იცვალა, მიიღო ფორმა მემამულისათვის შრომით კაბალური ანაზღაურებისა მიწის იჯარისათვის, ვალისათვის, წანახედისათვის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ტყუილუბრალოდაც. შრომით ანაზღაურებას არსებითად უწინდელი, საბეგრო-საბატონო ხასიათი ჰქონდა. შრომით ანაზღაურების სისტემა, ლენინის სიტყვით, იყო „საბეგრო-საბატონო მეურნეობის უბრალო ნაშთი“ (**ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. III, გვ. 154). განსაზღვრავდა რა რეფორმის შემდგომი პერიოდის მემამულური მეურნეობის ეკონომიურ ორგანიზაციას, ლენინი სწერდა, რომ მიუხედავად ფორმათა მთელი სხვადასხვაობისა, იგი „ყალიბდება ორ ძირითად სისტემად—სულ სხვადასხვაგვარი შეხავებით, სახელდობრ — **შრომით ანაზღაურებისა და კაპიტალისტურ სისტემად**“ (**ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. III, გვ. 142).

თუ შრომით ანაზღაურების სისტემა მდგომარეობდა გლეხების მიერ მემამულის მიწის დამუშავებაში მათივე ინვენტარით, კაპიტალისტური სისტემა მდგომარეობდა წლიური, ვადიანი და დღიური მუშების დაქირავებაში, რომლებიც მიწის დამუშავების დროს მიწათმფლობელის ინვენტარით სარგებლობდნენ.

გლეხების ექსპლუატაციის ყველა ამ ფორმამ თვით პროლეტარულ რევოლუციამდე მიაღწია.

მხოლოდ ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც დაამხო მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება, გაანთავისუფლა გლეხები, მოსპო მემამულეებისაგან გლეხობის დამოკიდებულების ყველა ფორმა, მათ შორის შრომით ანაზღაურებაც, რაც სახეშეცვლილ და შენიღბულ საბატონო ბეგარას წარმოადგენდა.

II

ღალა, ისევე როგორც საბატონო ბეგარა, არის ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლუატაციის ფორმა. თუ საბატონო ბეგარა ნიშნავდა ყმა გლეხების იძულებით შრომას მემამულის მეურნეობაში, ღალა წარმოადგენდა იძულებით ხარკს, რომელსაც ნატურალური თუ ფულადი ფორმით გლეხები მემამულეს უხდიდნენ.

მემამულურ-ბატონყმურ რუსეთში არსებობდნენ როგორც საბატონო ბეგარის, ისე ღალის გადამხდელი გლეხები, ამასთან ხშირად ღალა და საბატონო ბეგარა შეერთებული იყვნენ. ღალა, ისევე როგორც საბატონო ბეგარა, მძიმე ტვირთი იყო, მაგრამ გლეხს მაინც აძლევდა თავისუფლების ერთგვარ შესაძლებლობას.

1861 წლის რეფორმის შედეგად გლეხებს დაეკისრათ უდიდესი გამოსასყიდი გადასახდელები მიწის იმ უბადრუკი ნაჭრებისათვის, რომლებიც გლეხებს დაუტოვეს გამოსასყიდი ნაკვეთების სახით.

1887 წელს გაფორმებულ იქნა სახელმწიფო გლეხების გადაყვანა ღალიდან გამოსყიდვაზე. გლეხობის მხოლოდ ნაწილი (ციმბირში, ყუბანში, თერგზე და მთელ რიგ სხვა ადგილებში) უწინდებურად იხდიდა ღალას. მაგრამ ამ ღონისძიებამ სრულებითაც არ შეუმსუბუქა მდგომარეობა გლეხებს, პირიქით მან გააძლიერა მათი ექსპლუატაცია.

გლეხობისათვის დაკისრებული გამოსასყიდი გადასახდელების საერთო თანხა შეადგენდა 2 მილიარდ მანეთამდე ოქროთი. ეს თანხა გლეხებს უნდა გადაეხადათ ხაზინისათვის 49 წლის განმავლობაში. ამ ფულის გადახდის დროს გლეხური თემები დაკავშირებული იყვნენ ურთიერთ თავდებობით, ე. ი. მთელი გლეხური თემის პასუხისმგებლობით მისი თვითეული წევრისათვის და თვითეული წევრისა—მთელი საზოგადოებისათვის. გამოსასყიდი გადასახდელები ნამდვილად ნიშნავდა არა მარტო გლეხობისათვის დატოვებული ნაკვეთების საფასურს, არამედ გლეხის „განთავისუფლების“, პიროვნების საფასურსაც.

ლენინი თავის სტატიაში „მუშათა პარტია და გლეხობა“, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ისკრაში“ 1901 წელს, სწერდა: „...გამოართვეს რა გამოსასყიდი თანხა პირადი განთავისუფლებისათვის, გლეხები მაინც არ გახადეს თავისუფალ ადამიანებად: ისინი ოცი წლით დასტოვეს დროებით ვალდებულებად, ისინი დასტოვეს—და დღევანდლამდე რჩებიან—დაბალ წოდებად, რომლის გაროზგვაც შეიძლება, რომელიც იხდის განსაკუთრებულ გადასახადებს, ნება არა აქვს თავისუფლად გამოვიდეს ნახევრადყმური თემიდან, თავისუფლად მოიხმაროს თავისი მიწა, თავისუფლად დასახლდეს სახელმწიფოს იმ ადგილას, სადაც მას სურს“ (**ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. IV, გვ. 100).

ამავე სტატიაში ლენინმა შემდეგნაირად დაახასიათა გამოსასყიდ გადასახდელთა და სალალო გამოსაღებთა არსი: „...ყველა ეს გამოსასყიდი გადასახდელი სხვა არა არის რა, თუ არ კანონიერი ფორმებით და ჩინოვნიკური ფრაზებით დაფარული გაძარცვა გლეხებისა მემამულეებისა და მთავრობის მიერ, სხვა არა არის რა, თუ არ ბატონებისათვის გადახდა ხარკისა მათი მონების განთავისუფლებისათვის. ჩვენ წამოვაყენებთ მოთხოვნას — დაუყოვნებლივ და მთლიანად გაუქმდეს გამოსასყიდი გადასახდელები და სალალო გამოსაღებები, მოთხოვნას — დაუბრუნდეს ხალხს ის ასეული მილიონები, რომლებსაც მეფის მთავრობა წლობით ართმევდა მას მონათმფლობელთა მადის დასაკმაყოფილებლად“. (**ვ. ი. ლენინი,** თხზ. ტ. IV, გვ. 103).

გამოსასყიდ გადასახდელებს, ისევე როგორც ღალას, გლეხებს ძალით ახდევინებდნენ. მხოლოდ 1905-1907 წლების რევოლუციის შედეგად გაუქმებულ იქნა გამოსასყიდი გადასახდელები (1907 წელი). მაგრამ გლეხები ვერ გადარჩნენ სხვა უზომო გადასახადებს და სასტიკ ექსპლუატაციას. მეფის რუსეთის დაბეჩავებულ გლეხობას უწინდებურად თვით ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე უნდა ეზიდნა ტვირთი სხვადასხვა გადასახადებისა და გამოსაღებებისა და ქედი ეხარა კულაკისა და მემამულის წინაშე.

„ბოლშევიკი“

საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა

პარიზი, 26 დეკემბერი (საკდესი). იტალიის პრესაში გამოქვეყნდა იტალიის ფაშიზმის ოფიციოზური პუბლიცისტის გაიდის სტატია, რომელშიც „იტალიის საწინააღმდეგო პროვოკაციად“ არის გამოცხადებული დალადიეს მომავალი გამგზავრება საფრანგეთის უმაღლეს სამხედრო ხელისუფალთა თანხლებით ტუნისსა და კორსიკაში. ეს სტატია საფრანგეთის პრესის აღშფოთებას იწვევს. საფრანგეთის ფაშისტური გაზეთებიც კი, როგორიცაა „ეკო დე პარი“, იძულებული ხდება გაიდის საპასუხოდ განაცხადოს, რომ „საფრანგეთი სუვერენული სახელმწიფოა და მისი მთავრობის მეთაურის ნებაა გაემგზავროს იქ, სადაც მოისურვებს და ვისთანაც მოისურვებს“.

ჩერდება რა იტალიის ტერიტორიულ პრეტენზიებზე, მემარჯვენე „ორდრი“ აცხადებს, რომ „იტალიის პრეტენზიები გვიჩვენებენ, თუ რამდენად უსარგებლოა ჩემბერლენის გამგზავრება რომს. ინგლისის პრემიერ-მინისტრი რომ თავისი ოცნებით დაბრმავებული არ იყოს, მას დაუყოვნებლივ უარი უნდა ეთქვა გამგზავრებაზე, რომელიც, წააქეზებს რა იტალიას, ხელს ვერ შეუწყობს მშვიდობიანობის საქმეს“.

იტალია-უნგრეთის მოლაპარაკება

თუმცა ფაშისტი აგრესორები — იტალია და გერმანია ერთმანეთს მხარს უჭერენ თავიანთ დაპყრობითს მოქმედებაში, მაგრამ ამავე დროს მათ შორის ღრმა წინააღმდეგობანი არსებობენ. ეს წინააღმდეგობანი განსაკუთრებით მწვავედ გამოაშკარავდა ჩეხოსლოვაკიის დანაწილების მომენტში..

როგორც ცნობილია, მაშინ უნგრეთი და პოლონეთი ცდილობდნენ მთლიანად ხელთ ჩაეგდოთ იმიერკარპატის უკრაინა, რათა საერთო საზღვარი დაემყარებინათ ერთმანეთს შორის. იტალია მხარს უჭერდა ამ გეგმებს, გერმანია კი, პირიქით მათ წინააღმდეგ გამოვიდა, რადგან იგი ცდილობს გადააქციოს იმიერკარპატის უკრაინა პლაცდარმად ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებზე თავისი შემდგომი შეტევისათვის.

ამჟამად იტალია გააფთრებულ კამპანიას ეწევა საფრანგეთის წინააღმდეგ და ცდილობს დაეუფლოს მის კოლონიებს (ტუნისი, კორსიკა, სომალი და სხვ.). იმ დახმარებისათვის, რომელიც ჰიტლერის მიერ ჩეხოსლოვაკიის დანაწილების დღეებში გაუწია გერმანიას იტალიამ, იგი ამჟამად გერმანიისაგან მოითხოვს—მხარი დაუჭიროს მის აგრესიულ მოთხოვნებს. გერმანელი ფაშისტები იტალიას დახმარებას ჰპირდებიან, მაგრამ მათ თავის მხრივ ახალი დათმობანი მოსთხოვეს იტალიას. კერძოდ, მათი წინადადებით, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო ამ დღეებში გაემგზავრა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, რათა მიეღწია იმისათვის, რომ უნგრეთის მთავრობას უარი ეთქვა თავის პრეტენზიებზე იმიერკარპატის უკრაინის ტერიტორიის მიმართ.

უნგრეთის მთავრობა იტალიის მიმართ დათმობაზე წავიდა.

ამავე დროს ჩიანომ წინადადება მისცა უნგრეთის მთავრობას — შეუერთდეს ეგრეთწოდებულ „ანტიკომინტერნულ პაქტს“, ესე იგი სამხედრო კავშირს, რომელიც დადებულია გერმანიის, იტალიისა და იაპონიის მიერ სსრ კავშირზე ერთად თავდასხმისათვის.

ის გარემოება, რომ უნგრეთი შეუერთდა ამ „პაქტს“, იმას ნიშნავს, რომ უნგრეთი საბოლოოდ მოექცა ფაშისტ აგრესორების ბლოკში. (საკდესი).

იაპონიის მთავრობის დეკლარაცია

ტოკიო, 26 დეკემბერი (საკდესი). იაპონიის მთავრობამ გამოაქვეყნა ახალი დეკლარაცია თავისი პოლიტიკის შესახებ ჩინეთში. ისევე, როგორც წინათ, იაპონიის მთავრობა ამ დეკლარაციაში, ეფარება რა „კომუნიზმთან ბრძოლის“ აზრას, მიკიბულ-მოკიბული ფრაზებით ააშკარავებს ჩინეთის დამონებისა და იქიდან სხვა სახელმწიფოთა განდევნის თავის გეგმებს. იაპონიის მთავრობა მოითხოვს, რომ „ჩინეთმა შესწყვიტოს იაპონიის საწინააღმდეგო მოქმედება, სცნოს იაპონიის უფლება — იყოლიოს იაპონიის ჯარი განსაკუთრებით დასახელებულ ადგილებში, და დასთანხმდეს შიდა მონღოლეთის განსაკუთრებულ ზონად გადაქცევას“.

იაპონიის მთავრობა მოითხოვს აგრეთვე იაპონელების თავისუფალ დასახლებას ჩინეთში, ჩინეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების უფლების მინიჭებას იაპონიისათვის, მანჯოუ-გოს ცნობას და სხვ.

იაპონიას მთელი დეკლარაცია „იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის მოწესრიგების ძირითად პირობებად“ მიაჩნია.

ემილ ვანდერველდეს გარდაცვალება

ბრიუსელი, 27 დეკემბერი (საკდესი). გარდაიცვალა ემილ ვანდერველდე.

○

ე. ვანდერველდე (დაიბადა 1861 წელს) ბელგიის სოციალისტური პარტიის ერთერთი დამაარსებელი იყო და მას უკანასკნელ დროს ამ პარტიის საპატიო თავმჯდომარის პოსტი ეკავა. ამავე დროს ვანდერველდე მრავალი წლის განმავლობაში იყო უაღრესად გამოჩენილი მოღვაწე II ინტერნაციონალისა, სადაც 1929-31 წლებში თავმჯდომარის პოსტი ეკავა. 1914-18 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს და ამ ომის შემდეგ ვანდერველდეს არაერთხელ ეკავა სხვადასხვა სამინისტრო პოსტები ბელგიის მეფის მთავრობაში.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე

პარიზი, 26 დეკემბერი (საკდესი). დღეს დილით საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საგანგებო ყრილობა საგარეო პოლიტიკის საკითხების განხილვას შეუდგა. დღეს ყრილობას წარედგინა ორი პროექტი რეზოლუციისა საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ: ბლიუმის რეზოლუცია და პოლ ფორის მომხრეთა რეზოლუცია.

დღეს ყრილობაზე გამოსული ტიოლა დაჟინებით მოითხოვდა კომპრომისული რეზოლუციის შემუშავებას.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ალბერტენისაგან; იგი გამოვიდა ჯგუფის სახელით, რომელსაც ყრილობაზე 450 მანდატი აქვს.

ალბერტენმა თავისი გამოსვლა დაამთავრა განცხადებით, რომ ის და მისი მომხრეები ყრილობაზე განსახილველად წარდგენილ თავის რეზოლუციის პროექტს ხსნიან პოლ ფორისა და მის მომხრეთა რეზოლუციის პროექტის სასარგებლოდ.

პოლ ფორის რეზოლუციის მომხრეთა სახელით გამოვიდა არნოლი, რომელმაც განაცხადა, რომ მის მიერ წარმოდგენილი მიმდინარეობა გამოდის როგორც „ფაშისტური ქვეყნების ბლოკის პოლიტიკის წინააღმდეგ, ისე დემოკრატიული ქვეყნების ბლოკის პოლიტიკის წინააღმდეგაც“.

გუენმა გამოაქვეყნა პოლ ფორის რეზოლუცია ყველა შემდგომი შესწორებითა და ცვლილებებითურთ. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო პაქტები მხოლოდ „დროებითი გარდამავალი მნიშვნელობის აქტებს“ წარმოადგენენ. რეზოლუცია შემდეგ მხარს უჭერს „გერმანიის ნამდვილ მეგობრობას საფრანგეთთან“ იმ ანგარიშით, რომ საფრანგეთის დათმობანი გერმანიის მიმართ „კომპენსირებულ იქნას გერმანიის სათანადო ღონისძიებებით შეიარაღების დარგში“.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ბლიუმმა, რომელმაც სიტყვის დასაწყისში გამოაქვეყნა ტექსტი თავისი რეზოლუციისა საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამ რეზოლუციის შინაარსი შემდეგია:

სოციალისტური პარტია ჰგმობს ყოველგვარ ომს. მიუნხენის შეთანხმებამ გააუარესა საერთაშორისო ვითარება. სოციალისტური პარტია სავსებით და უყოყმანოდ მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის დაცვაში ყოველგვარი აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება საფრანგეთის ტერიტორიის მთლიანობას და საფრანგეთის სუვერენიტეტს. არ უნდა იქნას დაშვებული არავითარი შეთანხმება, არავითარი დათმობა, თუნდაც ომი გვემუქრებოდეს. საფრანგეთის უშიშროება მოითხოვს ურთიერთდახმარების იმ ხელშეკრულებათა შენარჩუნებას, რომლებიც დადებულია მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან. ამ შეთანხმებებიდან სოციალისტური პარტია პირველ ადგილზე აყენებს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტს. სოციალისტურ პარტიას მიაჩნია, რომ ერის უშიშროებისათვის აუცილებელია, რათა არ იქმნას დაშვებული, ისეთი გაბატონებული პოზიციების ოკუპაცია საფრანგეთის მოწინააღმდეგეების მიერ, როგორიც არის ესპანეთი, ბალეარის კუნძულები, კანარის კუნძულები, ვინაიდან ეს საფრთხეს შეუქმნიდა საფრანგეთის საზღვრებს და საფრანგეთის მიმოსვლის გზებს.

შემდეგ ბლიუმი გადადის მის მიერ გამოქვეყნებული რეზოლუციის ტექსტის დაცვაზე.

სოციალისტური პარტიის ყრილობის დღის სხდომა იხსნება დაახლოებით 16 საათზე. პა-დე-კალეს დეპარტამენტის სოციალისტური ფედერაციის დელეგატს კვლავ შეაქვს წინადადება იმის შესახებ, რომ სამი კაცის — ბლიუმის, პოლ ფორის და ლებას შემადგენლობით შეიქმნას კომისია საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კომპრომისული რეზოლუციის შესამუშავებლად.

ამ წინადადების წინააღმდეგ სასტიკ პროტესტს აცხადებს ჟირომსკი. რეზოლუციის შესამუშავებლად ახალი კომისიის შექმნის წინააღმდეგ ილაშქრებს ლებაც. ის აღნიშნავს, რომ შემათანხმებელმა კომისიამ ორი დღის განმავლობაში ვერ მიაღწია ვერავითარ შედეგს. ლება გადაკვრით ამბობს, რომ საჭიროა პოლ ფორის გამოსვლა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ახსნა-განმარტებით.

სხდომა გრძელდება.



გაგრა. დასასვენებელი სახლი „რიცა“.
ფოტო უხობოტინისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ისტორიული ხელნაწერები

ამასწინათ საქართველოს მუზეუმმა შეიძინა ორასზე მეტი ხელნაწერი დოკუმენტი არაბულ ენაზე. ხელნაწერების ეს კოლექცია შინაარსის მიხედვით ორ ძირითად ნაწილად იყოფა.

კოლექციის ერთ ნაწილში მოიპოვება ერეკლე მეფისა და ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები კავკასიის მთის შამხალებისა (მთავრებისა) და მმართველებისადმი, წერილები ნუსალ-ხანის, სურხაი-ხანისა და სოფლის ხელისუფალთა მიმართ. ხელნაწერებს დართული აქვს არაბული ბეჭდები.

მეორე ნაწილში მოიპოვება მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, მიწერილი თვით შამილისა და მისი ნაიბების მიერ რუს ხელისუფალთადმი. აღსანიშნავია, რომ კოლექციაში არის გრიგოლ ორბელიანის მიერ შამილისადმი მიწერილი წერილი არაბულ ენაზე, რომელსაც ორბელიანი რუსულად აწერს ხელს.

ხელნაწერების ეს კოლექცია მეცნიერებისათვის დიდ საგანძურს წარმოადგენს. აქ მოიპოვება მასალები ქართველთა და კავკასიის ხალხთა ურთიერთობის შესახებ მთიელ ხალხებთან.

★

ნაძვის ხეების გაყიდვა თბილისის უნივერმაღში.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

საბჭოების სასახლის მოდელი ძვირფასი ქვებისაგან

ლენინგრადი (ჩვენი კორ.). ტრესტი „რუსკიე სამოცვეტი“ შეუდგა ერთერთი ყველაზე საინტერესო ექსპონატის დამზადებას სსრ კავშირის პავილიონისათვის საერთაშორისო გამოფენაზე ნიუ-იორკში: ეს არის მოსკოვის საბჭოების სასახლის უზარმაზარი მოდელი. მოდელი მზადდება საბჭოების სასახლის მშენებელთა — აკადემიკოს შჩუკოს და არქიტექტორების იოფანისა და გელფრეიხის მითითებებით.

სასახლის მოდელის ლითონის კარკასი მოპირკეთებული იქნება ფერადი ქვებით, ურალის იაშმით, ბელორეცკის კვარცით, ზურმუხტით, ლალით, ოქროსფერი ტოპაზიონით, მთის ბროლით და სხვ. მოდელის თავზე დადგმული იქნება ვ. ი. ლენინის ქანდაკება უჟანგავი ფოლადისაგან. მოდელის სიმაღლე 5 მეტრს აღემატება. მისი ერთი მხარე მოცემული იქნება კვეთილად, რის მეოხებით გამოჩნდება სასახლის დიდი დარბაზი

ამავე დროს გამოფენისათვის მზადდება დიდი მოზაიკური პანო 200 კვადრატული მეტრის სიდიდით, რომელიც მიძღვნილია სტალინური კონსტიტუციისადმი. მოზაიკურ ფონზე ურალის ქვის „ორლეცისაგან“ გაკეთებული ასოებით მოცემული იქნება სტალინური კონსტიტუციის ძირითადი მუხლების ტექსტი.

გარდა ამისა, ტრესტი აკეთებს საბჭოთა კავშირის დიდ ღერბს და მოკავშირე რესპუბლიკების 11 ღერბს ტოპაზიონის, ლალის, საფირონისა და ზურმუხტისაგან, აგრეთვე მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ბარელიეფს ძვირფასი ქვებისაგან.

250 მოწაფე საზამთრო კურორტებზე

საზამთრო არდადეგებისას ფრიადოსანი მოწაფეების კურორტებზე გასაგზავნად საქართველოს პროფკავშირთა დასასვენებელი სახლების სამმართველომ გამოჰყო 250 ადგილი კურორტ მახინჯაურისა და ქობულეთის დასასვენებელ სახლებში. 150 ფრიადოსანი მოწაფე გაიგზავნება ქობულეთის დასასვენებელ სახლში და 100—მახინჯაურის დასასვენებელ სახლში.

არდადეგებისას დასასვენებელ სახლებში გაგზავნილ მოწაფეებს თან გააყოლებენ პედაგოგებს, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ და უხელმძღვანელონ მათ დასვენებას. დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი მოწაფეებისათვის მოეწყობა ნაძვისხეები.

კურორტებზე ჰგზავნიან მოწაფეებს 12-დან 16 წლის ასაკამდე სასკოლო ექიმების დასკვნით.

დისერტაციების დაცვა

3 ნოემბერს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ამხ. ალ. გ. ნამორაძემ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ადმინისტრატიული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში“.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო კომისიამ ამხ. ალ. გ. ნამორაძეს ერთხმად მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

○

17 ნოემბერს ამხ. ბარნაბ იოსების-ძე ხაჰაპურიძემ პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „განწყობათა ურთიერთშეცვლის პროცესის ბუნება“.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო კომისიამ დისერტანტს ერთხმად მიანიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

○

14 დეკემბერს ამხ. ილია იაკობის-ძე მელქაძემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ამიერკავკასიის ფედერაციის ისტორიისათვის“.

საკვალიფიკაციო კომისიამ ამხ. მელქაძეს ერთხმად მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

○

23 დეკემბერს ამხ. აბელ იასონის-ძე კიკვიძემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში“. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო კომისიამ ამხ. კიკვიძეს მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

3.808.501 მანეთი რკინიგზელთა დასვენებაზე

1938 წლის განმავლობაში სხვადასხვა სანატორიუმებში სამკურნალოდ გაიგზავნა ამიერ-კავკასიის 13.239 რკინიგზელი. მათ შორის უმრავლესობა სტახანოველებია. რკინიგზელთა დასვენებაზე მთელი წლის განმავლობაში დაიხარჯა 3.808.501 მანეთი.

მომავალი წლისათვის რკინიგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტი ფიქრობს დამსვენებელთა რაოდენობის ერთი-ორად გადიდებას.

○

„არტეკი“ ქობულეთში

ქობულეთის ლ. პ. ბერიას სახელობის საბავშვო სანატორიუმი წელს გადაკეთდა პიონერთა რესპუბლიკურ ბანაკად, განზრახულია ბანაკის მოწყობა პიონერთა საკავშირო საჩვენებელი ბანაკის „არტეკის“ ტიპის მიხედვით. ამჟამად გაჩაღებულია სამშენებლო სამუშაოები და ამასთან იძენენ საჭირო ინვენტარს. იანვრიდან დაიწყება ახალი სასადილოს და კლუბის მშენებლობა, პარალელურად იწარმოებს კორპუსებისა და აბანოს რემონტი, რისთვისაც გადადებულია 600 ათასი მან.

ზაფხულის სეზონში ბანაკმა ათასი პიონერი უნდა გაატაროს.

თბილისი. აზერბაიჯანულ თეატრში დიდი წარმატებით სარგებლობს უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ-მალ-ალან“. სურათზე: სცენა მეორე აქტიდან. ასკარ—მსახ. ალი ბაირამოვი, გულჩორა—მსახ. ნ. ბაიბუტოვა.

ფოტო ა. კოგანისა

○

აფხაზეთის მწერალთა კავშირში

სოხუმი, (საკ. კორ.). აფხაზეთის მწერალთა კავშირი აფხაზურ ენაზე გამოსაცემად ამზადებს მაქსიმ გორკის მოთხრობებს. კრებულში შევა გორკის ცნობილი მოთხრობები „მაკარ ჩუდრა“, „ადამიანის დაბადება“ და სხვ. მოთხრობებს თარგმნიან აფხაზი მწერლები პ. შაკრილი, შ. ინალიფა, ს. ქუჩუბერია და შ. ამქვაბი.

აფხაზი პოეტი ლ. კუწნია ამჟამად მუშაობს პოემაზე — „სტალინი“.

ამასთან აფხაზეთის სახელგამი მალე გამოსცემს კუწნიას ახალი ლექსების კრებულს.

„აიდა“ ახალი დადგმით

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა მიმდინარე სეზონის პირველი ახალი დადგმა — კომპ. ჯუზეპე ვერდის ცნობილი ოპერა „აიდა“. როგორც ცნობილია ფაშისტურ ქვეყნებში და კერძოდ ვერდის სამშობლოში — იტალიაში ეს ოპერა აკრძალულია. ამიტომ ბუნებრივია ის აღტაცება, რომლითაც თბილისის მაყურებელი შეხვდა „აიდას“ დადგმას, რითაც საოპერო თეატრმა აღნიშნა 125 წელი მისი ავტორის დაბადებიდან.

პრემიერა წარმატებით ჩატარდა.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი **ნ. ქუმსიაშვილი** (რადამესი), ორდენოსნები **პ. ამირანაშვილი** (ამონასრო), **ბ. ზარატა-დოლიძე** (ამნერისი), **ე. გოხტენინა** (აიდა), მსახიობები **ვ. ზარაშიძე** (რამფისი), **ვ. შაპოშნიკოვი** (ფარაონი) და სხვ.

ოპერის დადგმა ეკუთვნის რესპ. სახ. არტისტს, ორდენოსან **ალ. წუწუნავას**; დირიჟორობდა — ორდენოსანი დირიჟორი **შ. აზმაიფარაშვილი**; მხატვრული გაფორმება—მხატვარ **ი. კარსლიანისა**.

ქნ. გრიგორიანის კონცერტი

რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში 28 დეკემბერს საქართველოს ფილარმონია აწყობს ბაქოს ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის სოლისტი ქალის ორდენოსანი ქნარიკ გრიგორიანის კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს თბილისის ოპერის სოლისტი, ორდენოსანი პ. ამირანაშვილი.

ლექციები და მოხსენებები

● 28 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მარის სახელობის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ., № 3) შესდგება ეთნოგრაფიული განყოფილების ღია სხდომა. მოხსენებებს წაიკითხავენ უფრ. მეცნიერ თანამშრომლები: გ. ჩიტაია თემაზე — „ლაზური ორნამენტი“ და ვ. ბარდაველიძე — „ანტირელიგიური მუშაობის ფორმები და მეთოდები სვანეთში“.

○

● 28 დეკემბერს, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. მოსე გოგიბერიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „ქრისტიანობის წარმოშობა“.

დასწრება თავისუფალია.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთა

მორიგი მეცადინეობა

შესდგება 29 დეკემბერს, რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 16) საღამოს სრულ 7 საათზე.

კურსების მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

სასამართლო

„გამიჯნურებული“ თავმჯდომარე

ზაფხულის სიცხეებმა „მიჯნურობის“ გუნებაზე დააყენა ძიროვნის სოფლსაბჭოს (ტყიბულის რაიონი) ყოფილი თავმჯდომარე ა. გიორგაძე.

— კაცი საბჭოს თავმჯდომარე ვარ, დღემდე ჩემი გულის ტოლი კი ვერ მომინახავს, უმიჯნუროდ აბა რა თავმჯდომარე უნდა ვიყო, — მსჯელობდა ის.

და...

— გენაცვალე, მიატოვე ქმარშვილი, ცოლად გამომყევი, — შეუჩნდა „გამიჯნურებული“ თავმჯდომარე სამუშაოდან მომავალ ი. ბ-ს.

— რა სთქვი? — გაოცდა ქალი.

— რა და ისა, ჩემო ლამაზო, რომ ათჯერ მაინც ვჯობივარ შენს ქმარს, ხომ ხედავ, ადგილობრივი მთავრობა ვარ, ამოდენა სოფლის ბატონ-პატრონი.

— 10 წელი ქმართან მიცხოვრია, 3 შვილის დედა ვარ, როგორ გამიბედე ეგეთი უხამსობა, — შეუტია ქალმა და მყისვე განშორდა.

პირში ჩალაგამოვლებულმა „რაინდმა“ თავი შეურაცყოფილად იგრძნო.

— მაგას ვუჩვენებ სეირს, გამოვიძახებ საბჭოში და თუ თავბედი არ ვაწყევლინე, მე ალექსანდრე აღარ ვიქნები. — დაემუქრა „თავმჯდომარე“.

მეორე დღესვე ი. ბ-მ ფიცხელი მიწერილობა მიიღო საბჭოში გამოცხადდიო, მაგრამ რადგან იცოდა, რაშიაც იყო საქმე, არ წავიდა.

— „კაპრიზიანი“ ვინმე ყოფილა — გაიფიქრა სოფლსაბჭოს „თავმჯდომარემ“, და ხელი აიღო ი. ბ-ს ქალზე. მაგრამ „მიჯნურობის ცეცხლი“ მაინც არ სტოვებდა მას. ახლა მან ეს „ცეცხლი“ ლიუდმილა ბრეგაძისაკენ მიმართა. აქ კი ლექსოს კოჭი აღჩუზე დაუჯდა; ქალი ცოლად გაჰყვა, მაგრამ მეტად დიდი მადისა და მოთხოვნების პატრონი გამოდგა ახალი პატარძალი.

— ლექსოჯან, თუ ცოტა რამ გამოსარჩენი არ გამონახე, არ გვეყოფა შენი ხელფასი, საჭიროა, ჩემო კარგო, ამაზე იფიქრო.

ა. გიორგაძემაც მიჰყო ხელი კომბინაციებს. სიმამრს კ. ბრეგაძეს „სკოლის რემონტისათვის“ 2.000 მანეთი გამოუწერა, თვითონაც უანგარიშოდ იწყო სახელმწიფო თანხების ფლანგვა.

18 აგვისტოს ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ა. გიორგაძემ საბჭოს ფულადი საბუთები ნაკუწებად აქცია, და პატარძალთან ერთად ქუთაისში სასეირნოდ გაემგზავრა, მაგრამ სოფლის საბედნიეროდ დიდხანს არ მოუხდა მას სეირნობა.

„გამიჯნურებული“ თავმჯდომარე შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

ტყიბულის სახალხო სასამართლომ ამხ. ღ. გოქსაძის თავმჯდომარეობით გაარჩია ა. გიორგაძის საქმე და ძირეული საბჭოთა ორგანოს ულირს მუშაკს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დ. საგელაშვილი.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლის ღონისძიებანი

28/XII — ამხ. ლ. გეგეშიძის ლექცია: „პოლიტიკური თვითგანათლებისა და წიგნზე მუშაობის შესახებ“. ქართულ ენაზე. ლექცია შესდგება პლეხანოვის სახელობის კლუბის დარბაზში, საბჭოს ქ. № 124. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

28/XII — ამხ. პ. თავხელიძის ლექცია: „პიროვნების როლი ისტორიაში“. ქართულ ენაზე. ლექცია შესდგება სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში, ტატიანას ქ. № 2. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

29/XII — ამხ. ჭაჭნელიძის ლექცია თემაზე: „მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები ლენინის წიგნში „რა ვაკეთოთ?“. რუსულ ენაზე. ლექცია შესდგება ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში, ლენინის ქ. № 11.

◇

ქვანახშირი და მარგანეცი

26 დეკემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1012	1110	109,7
ტყვარჩელი	735	831	113
ჭიათურა	5530	4322	77

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

28/XII ფიგარო!, ქორწინება

1939 წლის 1 კვარტალის მუდმივ ადგილებზე ბილეთების გაცემა სწარმოებს თეატრის ბუღალტერიის მიერ 1 საათიდან 4 საათამდე. იმ აბონენტს, რომელსაც დაფარული არ ექნება მორიგი გადასახდელი, წიგნაკები არ მიეცემა. მიმღებმა თან უნდა იქონიოს მინდობილობა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

28/XII წარმოდგენა 83 სულელი
29/XII წარმოდგენა 84 ფოლადაური
30/XII წარმოდგენა 85 ოტელო

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ბრძანება № 1680
საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატისადმი 1938 წ. 25 დეკემბერი

შინამრეწველურ და ხელოსნურ რეწვათათვის შემოსავლიანობის ნორმების და მოქალაქეთაგან საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადების შესახებ 1939 წლისათვის.

მოქალაქეთაგან საშემოსავლო გადასახადის დებულების (მუხლები 24,29) და შინამრეწველურ და ხელოსნურ რეწვათა რეგისტრაციის წესების შესაბამისად—

ვბრძანებ:

1. დაწესებულ იქნას 1939 წლისათვის საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგი ვადები I, II და III კატეგორიის გადამხდელთათვის, რომლებიც იბეგრებიან ფინორგანოების მიერ:

ა) შინამრეწველ-ხელოსნები, რომლებიც იბეგრებიან შემოსავლიანობის ნორმებით, გადასახადს გადაიხდიან თანაბარ ნაწილებად 1939 წლის 20 თებერვლისათვის, 10 მაისისათვის, 1 აგვისტოსათვის და 1 ნოემბრისათვის;

ბ) დანარჩენი გადამხდელები გადაიხდიან: გასული წლის გადასახადის გადაანგარიშების მიხედვით განსხვავებას 15 თებერვლისათვის, ხოლო 1939 წლის გადასახადის ანგარიშში გადასახდელებს (ავანსებს) თანაბარ ნაწილებად 1939 წლის 20 თებერვლისათვის, 10 მაისისათვის, 1 აგვისტოსათვის და 1 ნოემბრისათვის.

2. იმ პირთ, რომლებიც ეწევიან შინამრეწველურ და ხელოსნურ რეწვას, ზიდვას და მოსახლეობის პირად და სამეურნეო საყოფაცხოვრებო საჭიროებათა მომსახურებას, დაევალოთ წლის დასაწყისამდე (ან რეწვის დაწყებამდე) აიღონ თავიანთ რეწვაზე სარეგისტრაციო მოწმობები რაი (ქალ.) ფინგანებში რეწვის წარმოების ადგილის მიხედვით. შინამრეწველ-ხელოსნები, რომლებიც ეწევიან მოძრავ რეწვას, სარეგისტრაციო მოწმობები უნდა აიღონ რაი (ქალ.) ფინგანებში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შენიშვნა: აკრძალულია შინამრეწველურ და ხელოსნურ რეწვათა წარმოება დაქირავებული შრომის გამოყენებით.

3. დაევალოს ყველა რაი (ქალაქის) ფინგანებს:

ა) სარეგისტრაციო მოწმობების გაცემამდე შინამრეწველ - ხელოსნებს მოსთხოვონ წარდგენა მოწმობებისა კვალიფიკაციის შესახებ, გაცემულისა სარეწაო კოოპერაციის სათანადო დარგობრივ გაერთიანების მიერ, ორი ფოტოგრაფიული სურათისა და აგრეთვე პასპორტის ჩვენება.

შენიშვნა: სარეგისტრაციო მოწმობების მისაღებად კვალიფიკაციის შესახებ მოწმობების წარდგენა არ სჭირდებათ: მეეტლეებს, წყლის მზიდავებს, იატაკის მწმენდავებს, დურგლებს, მინის ჩამსმელებს, მლესავებს, მრეცხავებს, ტვირთმზიდავებს და ფეხსაცმლის მწმენდავებს და იმ შინამრეწველ-ხელოსნებს, რომლებსაც მოწმობები კვალიფიკაციის შესახებ წარმოდგენილი ჰქონდათ 1938 წელს.

ბ) შემოსავლიანობის ნორმები, რომლებიც დაწესებულია საქ. სსრ ფინსახკომის ბრძანებებით, გამოქვეყნებულ იქნას საყოველთაო ცნობისათვის არა უგვიანეს 1938 წლის 28 დეკემბრისა.

1412

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი **ციმაკურიძე**

საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო

სსრკ
სახდაზღვევა
სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა
სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა
ხელშემწყობო კომისიებო! მოაწყვეთ მშრომელთა კოლექტიური დაზღვევა!

10 მილიონზე მეტი მშრომელი დაზღვეულია სახდაზღვევაში სიცოცხლის ნებაყოფლობითი კოლექტიური დაზღვევით.

დაზღვევა მიიღება შემდეგი თანხების ოდენობით: 5.000, 4.000, 3.000, 2.000, 1000 და 500 მან.

გადასახადი 12 მანეთი წელიწადში სადაზღვეო თანხის ყოველ 1.000 მანეთზე.

დაზღვევა სწარმოებს მშრომელთა სამუშაოს ადგილის მიხედვით ხელშემწყობი კომისიების მეშვეობით.

სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევის გადასახდელს იღებს ხელშემწყობი კომისიის ამკრეფი წინდაწინ თვიეთული კვარტალისთვის

ცნობებისათვის მიმართეთ ხელშემწყობ კომისიებს და რაიონულ (საქალაქო) საფინანსო განყოფილებებთან არსებულ სახდაზღვევის ინსპექციებს.

1411

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ლ—1440